ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამი ბეგიაშვილი

მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები საქართველოში და სოციალური მუშაობა

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი : ნელი აკობია, სოციალური მუშაობის მაგისტრი, თსუ მოწვეული ლექტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სოციალური მუშაობის სამაგისტრო კურსის შემაჯამებელი ნაშრომის ფარგლებში ჩატრადა კვლევა. საკვლევ საკითხს წარმოადგენს მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები საქართველოში და სოციალური მუშაობა. კვლევის მიზანია გამოავლინოს მინდობით აღზრდის პროგრამის საჭიროებები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივა. კვლევა ჩატარდა ქ. თბილისში, მინოდბით აღზრდის პროგრამაში ჩართულ მხარეებთან; მინდობით აღსაზრდელებთან, მინდობით აღმზრდელებთან, ბიოლოგიურ ოჯახთან და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშკებთან.

ლიტერატურის მიმოხილვიდან გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები, რომელიც უკავშირდება ბავშვის ჭეშმარიტ უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დოკუმენტები მოუწოდებს ქვეყნებს დაიცვან ბავშვის უფლება „იცხოვროს ბიოლოგიურ ოჯახში“, პრევენციული და „გეითქიფინგის“ სახელმძღვანელო პრინციპების გატარება პრაქტიკაში სირთულეებს ხვდება. ხოლო მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული მხარეები არერთი გამოწვევის წინაშე დგანან.

ზემოაღნიშნული საკითხების და ქართული რეალობის შესასწავლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები -სიღმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. კვლევის ანალიზის შედეგად იკვეთება : მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული მხარეები პოზიტიურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ. თუმცა არსებობს გამოწვევები, რომლის წინაშეც პროგრამა დგას: პრევენციული ღონისძიებებისა და ოჯახის გაძლიერებაზე მიმართული მუშაობის სიმცირე, არასრულწოვნების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების ჩამოუყალიბებელი ჩარჩო, სისტემიდან გასული ბენეფიციარებისთვის დამხმარე სერვისების არასრებობა, მინდობით აღზრდის ანაზღაურების სიმწირე, სოციალური მუშაკების არაინტენსიური ჩართულობა ბავშვის ცხოვრებასა და ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობისას. საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭიროა: რეგულარული მხარდაჭერის განხორციელება მინდობით აღზმრდელებისთვის,

დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსების დაგეგმვა; სპეციალური დამხმარე სერვისების შექმნა სისტემიდან გასული ბენეფიციარების მხარდაჭერისთვის; სპეციფიკური სერვისების შექმნა ძალადობა განცდილი ბავშვებისთვის; მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშებისთის სპეციალური სადაზღვეო პაკეტის შექმნა; პრევენციული ღონისძიებებისა და ბიოლოგიურ ოჯახთან მუშაობის გაძლიერება; სოციალური მუშაკების გაძლიერება შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, რათა შეძლონ საკეთესო მინდობით აღზრდის პრაქტიკის განხორციელება და არასრულწოვნების უფლებების დაცვა.

Annotation

Implementation of foster care programe in Georgia and social work

The survey was conducted within the scope of Social work master's summary course. The issue of the survey was Implementation of foster care programe in Georgia and Social work. Survey goal was to identify the needs, challenges and development perspectives of Foster Care. The survey was conducted In Tbilisi, with the participants involved in programe: foster kids, foster parents, biological family and social woreks of Social Agency.

From the review of literature the following issues were identified: peculiarities of the implementation of the Entrepreneurship Program related to the child's true rights. While International Documents Calls on States to Defend a Child's Right to a Biological Family, the Guidelines for Preventive and "Gatekeeping" Guidelines are introduced to the difficulties in practice. While the parties involved in the Entrepreneurship Program are facing a challenge.

Qualitative research methods were used to study the issues-the interview and the focus group methods. As a result of research analysis: Foster care identified as positive. However, there are challenges: lack of Prevention work with biological family; lack of auxiliary services for foster kids out from the system; Lack of compensation for entrepreneurship, non-intensive involvement of social workers in foster kids' life and their famiy; For best practices necessary to carry out regular support for the caregivers, planning the training courses for the preparation of independent life; Creating special support services for supporting beneficiaries from the system; Creating specific services for violence children; Creating a special insurance package for children in foster care; Strengthening preventive measures and working with a biological family; Strengthening Social Workers with relevant knowledge and skills to be able to implement the best practices and protect the rights of the minor.

სარჩევი

შესავალი 7

I თავი. ლიტერატურის მიმოხილვა 9

მინდობით აღზრდის სამართლებრივი რეგულირება 9

მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტები საერთაშორისო დონეზე 11

მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტები საქართველოში 13

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორები. ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება 14

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართვა- ქართული და საერთაშორისო გამოცდილება 16

მინდობით აღზრდის სახეები 18

საერთაშორისო პრაქტიკა 18

საქართველოს გამოცდილება 19

მინდობით აღზრდის მოდელები- საერთაშორიოს პრაქტიკა 20

მინდობით აღზრდის ანაზღაურება 21

საქართველოს რეალობა 21

საერთაშორისო პრაქტიკა 22

მინდობით აღსაზრდელები 23

ზრუნვის სისტემაში მოხვედრის ეტაპზე არსებული სირთულეები 23

განათლების ხელმისაწვდომობა 26

ჯანმრთელობის დაცვა 27

დამხმარე სერვისები 29

სისტემიდან გასვლა 30

მინდობით აღმზრდელები 33

ბიოლოგიური ოჯახი და მათთან ურთიერთობა 37

II თავი. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი 44

კვლევის მიზანი და ამოცანები 44

კველვის მეთოდოლოგია და შეზღუდვები 44

კვლევის შედეგების ანალიზი 47

ინფორმირებულობა და აზრის გათვალსიწინება 47

მინდობით აღმზრდელებთან ურთიერთობის თავისებურება 50

სოციალურ მუშაკთან ურთიერთობის თავისებურება 51
ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის სირთულეები 55
მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის მოტივაცია 56
დამხმარე სერვისები და არსებული სირთულეები 57
ბავშვის განვითარების ხელშეწყობა 59
რეგულარული მხარდაჭერის არარსებობა მინდობით აღმზრდელებისთვის 60
სისტემიდან გასვლა- მარტო ცხოვრების პირისპირ 60
ოჯახის გაძლიერება და რეინტეგრაციის ხელშეწყობის გამოწვევები 62
დასკვნა და რეკომენდაციები 66
გამოყენებული ლიტერატურა 72

შესავალი

სახელმწიფო ზრუნვის სისტემის რეფორმა საქართველოში 2005 წლიდან დაიწყო (საქართველოს კანონი მინდობით აღზრდის შესახებ, 2005). რეფორმის ძირითადი მიზანი დიდი სააღმზრდელო დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია და ამ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვებისთვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიმართულება სააღმზრდელო ინსტიტუტების ოპტიმიზაცია, მზრუნველობა მოკლებული ბავშვების მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაცია იყო. მინდობით აღზრდა საკანონმდებლო და ეროვნულ დონეზე 2006 წლიდან მოქმედებს. მინდობით აღზრდა გულისხმობს "სახელმწიფოსა და მინდობით აღმხრდელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ავალდებულებს მინდობით აღმზრდელს გარკვეული ვადით უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა" (საქართველოს კანონი მინდობით აღზრდის შესახებ, 2005).

სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობა საკანონმდებლო და ეროვნულ დონეზე ეკისრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსება ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით. ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსებამდე ტერიტორიული სერვის ცენტრის სოციალური მუშაკი ამოწმებს ბავშვისა და ოჯახის თავსებადობის კრიტერიუმებს, როგორიცაა ასაკობრივი სხვაობა, ეროვნება, რელიგიური კუთვნილება, რამდენად შესწევს მიმღებ ოჯახს უნარი დააკმაყოფილოს ბავშვის საჭიროებები და ხელი შეუწყოს მის განვითარებასა და სოციალიზაციას (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017)

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს მინოდბით აღზრდის პროგრამაში ჩართული იყო 1354 ბავშვი, 2017

წლის მონაცემებით - 1446, 2018 წლის მონაცემით კი 1480 არასრულწლოვანი. რაც შეეხება სახელმწიფო ზრუნვიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციას, ოფიციალური სტატისტიკა ასე გამოიუყურება: 2016 წელს რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართული იყო 444 ბენეფიციარი, 2017 წელს - 440, ხოლო 2018 წელს - 451 (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019).

საქართველოს ბავშვზე ზრუნვის სისტემა არ გამოირჩევა ბევრი სერვისით. თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში საქართველოს, როგორც ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად იქცა დიდი ინსტიტუციების დახურვა და მის ნაცვლად ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდა. რეფორმა მოიცავს მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინოდბით აღზრდის პროგრამას, საიდანაც პრიორიტეტი ენიჭება მინდობით აღზრდას, ვინაიდან მინდობით აღზრდა თავისი არსით „ხელს უწყობს მზრუნველობამოკლებულ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის ბიოლოგიური ოჯახთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში აღზრდას“ (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019)

გამომდინარე იქიდან, რომ მინდობით აღზრდას აქვს რამოდენიმე წლიანი ისტორია საქართველოში და არ გამოირჩევა სამეცნიერო კვლევების სიმდიდრით, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ პროგრამის განხორციელების თავისებურებები და მოვახდინოთ მისი შედარება საერთაშორისო პრაქტიკასთან. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, გამოკვეთოს ის გამოწვევები, რაც მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართულ მხარეებს აქვთ. მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით გაანალიზოს და შეისწავლოს მინდობით აღზრდაში ჩართული მხარეებთან მუშაობისა და განვითარების თავისებურებები. კვლევის პროცესში მოახდინოს საერთაშორიოს დოკუმენტების ანლიზი, შედარება ქართულ პრაქტიკასთან და არსებულ პოლიტიკასთან.

I თავი. ლიტერატურის მიმოხილვა

მინდობით აღზრდის სამართლებრივი რეგულირება

მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელება რეგულირდება როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო სტანდარტებისა და დოკუმენტების გათვალისწინებით. საერთაშორისო დოკუმენტებიდან აღსანიშნავია გაეროს გენერალური ასამბლეის N64/142 (2010) რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა ალტერნატიული ზრუნვის სახელმძღვანელო პრინციპები (United Nation, 2010) დოკუმენტი ხაზს უსვამს ბიოლოგიური ოჯახის მნიშვნელობას და სოციალური მუშაობის წარმართვას, როგორიცა „ჭიშკრის დარაჯობა". სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ბავშვებმა შეინარჩუნონ უფლება ცხოვრობდნენ ბიოლოგიურ ოჯახებში. აღნიშნული პრინციპებიდან ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გასათვალისწინებელი მოთხოვნებია: ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში განთავსებისას უნდა მოხდეს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინება, მინდობით აღმზრდელის ოჯახი და ბიოლოგიური ოჯახი ტერიტორიულად ახლო უნდა მდებარეობდეს; მინიმუმამდე იქნეს შემცირებული სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების შეცვლის საჭიროება ზრუნვის სისტემაში გადასვლისას. ბავშვის დაცვა ყოველგვარი ძალადობისა და უგულებელყოფისგან, მინდობით აღსაზრდელს უნდა ჰქონდეს რწმენისა და რელიგიის თავისუფლად გამოხატვის საშუალება და ყველაზე მთავარი - ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში რაც შეიძლება მოკლე დროით უნდა დარჩეს ბავშვი. რეზოლუციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მინდობითი აღმზრდელების უწყვეტი ტრენინგების ჩატარების მნიშვნელობასა და ბავშვთა დაცვისთვის სისტემურ მონიტორინგს (United Nation, 2010).

თუმცა ყველაზე მთავარი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც იცავს მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების უფლებებს და არა მარტო მათი, რა თქმა უნდა,

ბავშვის უფლებათა კონვენციაა. კონვენციის ძირითადი უფლებები შეგვიძლია ოთხ კატეგორიად გავაერთიანოთ:

- სიცოცხლე - ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის, გადარჩენის, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, სუფთა წყლითა და სანიტარული სისტემის სარგებლობის უფლება.
- განვითარება - ბავშვებს უფლება აქვთ განათლების მიღების, განვითარების, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად გამოვლენის უფლება.
- დაცვა - ბავშვებს აქვთ უფლება იყვნენ დაცული ყოველგვარი ძალადობისგან, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან, უგულებელყოფისგან და ექსპლუატაციისგან.
- მონაწილეობა - ყველა ბავშვს აქვს უფლება გააჩნდეს და გამოხატოს თავისუფლად საკუთარი აზრი, განსაკუთრებით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ეხებათ; ხელმისაწვდომი იყოს მათთვის ინფორმაცია (United Nations, 1989).

მინდობით აღზრდის პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლის დაცვით, რომელიც ხაზს უსვამს ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებას იყვნენ დაცულები. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თვალსაზრისით, პერიოდულად უნდა ხდებოდეს მინდობით აღსაზრდელების პირობების შეფასება და მათი კეთილდღეობის შესწავლა. კონვენციაში წარმოდგენილი უფლებები ეხება ყველა ბავშვს დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე (მუხლი 2); ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას პირველად ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებსა და მათი დაცვის უზრუნველყოფას (მუხლი 3); ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლება (მუხლი 6); გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის შეხედულებები ნებისმიერ საკითხთან მიმართებით (მუხლი 12) (United Nations, 1989).

მინდობით აღზრდის პროგრამისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმადაც ბავშვი, რომელიც

დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოს, ან რომელსაც არ შეუძლია დარჩეს ასეთ გარემოში, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მათ (ბავშვებს) განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვთ (United Nations, 1989).

გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის (CRC) ძირითადი სტანდარტების „ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისების მინიმალური რეგიონალური სტანდარტები“ მე-4 სტანდარტის მიხედვით რეგულარული ტრენინგების ჩატარება მიმღები მშობლებისთვის სავალდებულოა. ამ დოკუმენტის თანახმად, ეროვნულ დონეზე შემუშავებული ტრენინგ-მოდული უნდა მოიცავდეს მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების აღზრდასა და საჭიროებებთან დაკავშირებულ სისტემურ მიმართულებებს. შიდა ეროვნული დოკუმენტი საშუალებას უნდა იძლეოდეს მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას ყველა აღმზრდელისთვის (UNICEF, Regional Minimum Standards for Alternative Care Services for Children, 2012).

„შვილად აყვანისა და მინოდბით აღზრდის შესახებ „ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახნმად, მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელებასა და მონიტორინგს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს დაქვემდებარებაში მოქმედი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები ახორციელებენ. კანონში განხილულია პროგრამის განხორციელების სამიზნე ჯგუფები, პროცედურები, მინდობით აღმზრდელის უფლებები და მოვალეობები (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017).

მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტები საერთაშორისო დონეზე

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულია მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელება, თუმცა ქვეყნების უმეტესობას შემუშავებული აქვთ

მინოდბით აღზრდის სტანდარტები, სადაც დეტალურადაა გაწერილი ბავშვების, მინდობით აღმზრდლებისა და სოციალური მუშაკისა უფლება-მოვალეობები.

ირლანდიის მინდობით აღზრდის სტანდარტები შეიქმნა 2003 წელს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია პროგრამაში ჩართულო მხარეების უფლებების დაცვა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. დოკუმენტი მოიცავს თითოეული მონაწილე მხარის ურთიერთობას. განსაზღვრულია მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების მთავარი უფლებები, როგორიცაა: არჩევანის თავისუფლება, დაცულობა, ღირსება და პატივისცემა. პოზიტიური იდენტიფიკაციის ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა, მინდობით აღსაზრდელებისა და მათი ბიოლოგიური ოჯახების ურთიერთობის წახალისება. ასევე, ხაზგასმულია ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში განთავსებული ბავშვების განათლების უპირატესი შესაძლებლობა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვას (Scottish Care Commission, 2003).

შოტლანდიაში მინდობით აღზრდის პროგრამას ახორციელებენ როგორც სამთავრობო, ისე მოხალისეებრივი, დამოუკიდებელი ან ადგილობრივი ორგანიზაციები. თუმცა ყველა მათგანი ექვემდებარება ერთიან სტანდარტს, რათა პროგრამის განხორციელება მოხდეს მაღალი სტანდარტის დაცვით. შოტლანდიის ნაციონალური ზრუნვის სტანდარტების კომისია (NCSC) ეტაპობრივად უზრუნველყოფს მინდობით აღზრდის სტანდარტების განახლებასა და განვითარებას. კომისიაში ჩართულნი არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, გადაწყვეტილების მიმღებები და თავად ის ადამიანები, რომლებიც სისტემის ქვეშ იმყოფებოდნენ. შოტლანდიური სტანდარტები დაფუძნებულია ძირითად პრინციპებზე, რაც გულისხმობს პროგრამის ინკლუზიურობასა და ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობებისთვის. მთავარი პრინციპები შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: კონფიდენციალურობა, არჩევანის თავისუფლება,

უსაფრთხოება; ბავშვების პოტენციალის ამაღლება, თანასწორობა და ინდივიდუალური მიდგომა (National Care Standards Foster Care And Family Placement Services, 2002).

მინდობით აღზრდაში განთავსებამდე ბავშვი უნდა იყოს ინფორმირებული პროგრამის და მინდობითი აღმზრდელის შესახებ. მას უნდა ჰქონდეს სოციალური მუშაკის საკონტაქტო ნომერი, რათა შეძლოს მასთან დაკავშირება დროის ნებისმიერ მონაკვეთში. სტანდარტში ყურადღება ექცევა ბავშვისა და ბიოლოგიური ოჯახის ურთიერთობის წახალისების ხელშეწყობას, თუ კი ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება (National Care Standards Foster Care And Family Placement Services, 2002).

შოტლანდიური მინობით აღზრდის სტანდარტებიდან (სტანდარტი 8) მნიშვნელოვანია აღინიშნოს მინდობით აღმზრდელისთვის სხვადასხვა ტრენინგების ხელმისაწვდომობა და სერვისებით უზრუნველყოფის საჭიროება, განსაკუთრებით ისეთ თემებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ბულინგს, დისკრიმინაციას, ბავშვის რთულ ქცევასა და განვითარების თავისებურებებს. წლის ბოლოს ყველა მიმღები მშობელი აფიქსირებს საკუთარ გამოწვევას, რაც პოლიტიკის შემქმნელებს საშუალებას აძლევს უკეთ დაინახონ ხარვეზები და დაგეგმონ საჭირო სერვისები (National Care Standards Foster Care And Family Placement Services, 2002).

მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტები საქართველოში

საქართველოში მინდობით აღზრდის სტანარტების შემუშავება და პრაქტიკაში იმპლემენტაცია 2017 წლის დეკემბერში მოხდა. დოკუმნეტში გაწერილია სოციალური მუშაკისა და მინდობით აღმზრდელის როლები, ბავშვის ძირითადი უფლებები - ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, დაცვა ყოველგვარი ძალადობისა და უგულებელყოფისგან, განათლების ხელმისაწვდომობა, მონიტორინგის განხორციელების პროცედურები და მინდობით აღზრდის წარმოებისას საჭირო დოკუმენტაციის არსებობა. არსებული დოკუმენტების მთავარ მიზანს წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტრესების

დაცვა და პროგრამაში ჩართული თითოეული მხარის ინფორმირებულობა (საქართველოს მთავრობა, 2017).

მინდობითი აღზრდის მომსახურების სტანდარტებიდან აღსანიშნავია სტანდარტი N1- მხრეების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც გულისხმობს ბავშვისა და ჩართული პირების ინფორმირებულობასა და თანამონაწილეობას ზრუნვის დაგეგმვის პროცესში (საქართველოს მთავრობა, 2017).

სტანდარტი N 4 პირდაპირ მიუთითებს ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნებასა და ხელშეწყობაზე. მინდობით აღმზრდელი ოჯახისა და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის ურთიერთობის ხელშემწყობად მოაზრება სოციალური მუშაკი (საქართველოს მთავრობა, 2017).

ქართული მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტები მიუთითებენ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობასა და არასრულწლოვანისთვის შესაბამისი უნარჩვევების სწავლების საჭიროებაზე (სტანდარტი N 9), თუმცა კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთი ხარვეზი ამ საკითხთან მიმართებაში (საქართველოს მთავრობა, 2017)

სტანდარტი N12 ყურდღებას ამახვილებს ზრუნვის სიტემიდან გასვლისას არასრულწლოვნის მომზადების პროცესზე. სოციალური მუშაკი მინდობით აღმზრდელთან ერთად მხარს უჭერს და ეხმარება ბავშვს, რათა სისტემიდან გასვლა არასრულწლოვანის ინტერესების სრული დაცვითა და ზიანის აცილებით წარიმართოს (საქართველოს მთავრობა, 2017).

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორები. ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება

მინდობით აღზრდა არის ყველაზე უსაფრთხო სამყარო იმ ბავშვებისთვის, ვინც ბიოლოგიურ ოჯახში იყვნენ სხვადასხვა სახის ძალადობისა და უგულებელყოფის

მსხვერპლნი და ვერ მოხერხდა ბიოლოგიური ოჯახების იმგვარად გაძლიერება, რომ ბავშვი დაჩენილიყო ოჯახში. არსებობს სხვადასხვა მიზეზი, რის გამოც ბავშვები ხვდებიან ალტენატიული ზრუნვის სისტემაში, სწორედ ამ მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას საქართველოს სახალხო დამცველი.

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიშის - „ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობის“ მიხედვით, „ბიოლოგიური ოჯახიდან ბავშვის მინდობით აღზრდაში გამოყვანის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კვლავ ბიოლოგიური ოჯახის მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, უგულებელყოფისა და ძალადობის შემთხვევებია“ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019)

სისტემაში მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, ეს ძირითდად დამოკიდებულია სახელმწიფოში არსებულ სოციალურ მდგომარეობასა და სერვისების არსებობა/ხელმისაწვდომობაზე. მაგალითად, ყოფილი კომუნისტური რეჟიმის დასრულების შემდეგ, წევრ ქვეყნებს შორის წარმატებული რეფორმებით ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, რუმინეთი გამოირჩევა მნიშვნელოვანი მიღწევებით, თუმცა ქვეყანაში ბავშვთა ზრუნვის სისტემაში მოხვედრილი ბავშვების 51% შემთხვევებისა განპირობებულია ბავშვებზე განხორციელებული არასათანადო მოპყრობით (Romania: Children In Public Care 2014, 2017), უახლესი კვლევის თანახმად ბავშვების სისტემაში მოხვედრის სამი მიზეზი განაპირობებს:

1. ცხოვრებისეული უბედური მოვლენები, როგორიცაა მშობელების გარდაცვალება ან მშობლების სხვადასხვა ინსტიტუციაში მოხვედრა.
2. მშობლების ქცევითი პატერნები და დამოკიდებულებები, რომლებიც პირდაპირ (ძალადობის სხვადასხვა ფორმები) ან არაპირდაპირ (უგულებელყოფა) გავლენას ახდენს ბავშვებზე;

3. სტრუქტურირებული პრობლემები: სიღარიბე, სერვისების ნაკლებობა, არასტაბილური საცხოვრებელი, მიგრაცია (Romania: Children In Public Care 2014, 2017).

ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების სააგენტოს 2017 წლის მონაცემებით ამერიკაში ყოველწლიურად 437 000 ზრუნვაში მყოფი ბავშვის შემთხვევის მართვა ხდება (Rafeedie at al, 2019). ზრუნვის სიტემაში მოხვედრილი ბავშვების უმეტესობა, დაახლოებით 45%, ბიოლოგიური ოჯახიდან განიცდიდა სხვადასხვა სახის უგულებელყოფას (Chipungu and Goodley, 2004).

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართვა- ქართული და საერთაშორისო გამოცდილება

მინდობით აღზრდის სისტემაში ბავშვის ჩართვის გადაწყვეტილებას იღებენ სოციალური მუშაკები, ბიოლოგიური ოჯახები, მოსამართლეები, ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, ვიანიდან ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების გადაწყევტილებას რამდენიმე პირი იღებს, მნიშვნელოვანია თითოეულმა ყურადღებით შეისწავლოს საქმე, რათა არ დაიკარგოს უმთავრესი პრინციპი „ბავშვი და მისი ჭეშმარიტი ინტერესები“ (Rafeedie at al, 2019).

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართვას, საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება „18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც არის ობოლი, რომლის მშობელსაც შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, აღიარებულია უგზოუკვლოდ დაკარგულად, ან აღიარებულია ქმედუუნაროდ“. მინდობით აღზრდაში პიროვნება რჩება 18 წლამდე ან 21 წლამდე, თუ კი ის „18 წლის მიღწევამდე განთავსებული იყო მინდობით აღზრდაში, შეუსრულდა 18 წელი და არის ზოგადასგანანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე, პროფესიული სასაწავლებლის სტუდენტი, ან უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების სტუდენტი“ (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017).

მინდობით აღზრდის პროგრამის მთავარი მიზანი ბავშვების უფლებებისა და საჭიროებების დაცვაა, თუმცა წარმატება დამოკიდებულია ბავშვების სამომავლო ზრუნვის ფორმის განსაზღვრაზე. მინდობით აღზრდის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს დაცულობისა და სტაბილურობის განცდა ბავშვებისთვის, ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობა რეინტეგრაციისთვის ან/და სამომავლო ზრუნვის ფორმის შერჩევა (Konijn at al, 2018).

წარმატებული ბავშვზე ზრუნვის სისტემის პრაქტიკა დამოკიდებულია თავდადებულ და კავლიფიციურ სოციალურ მუშაკებზე, ინოვაციური სერვისების არსებობაზე, ეფექტურ პოლიტიკაზე, ძლიერ ადვოკატირებაზე, სოციალური მუშაკების მიერ ბიოლოგიურ ოჯახებთან და თემთან თანამშრომლობაზე (Chipungu and Goodley, 2004).

სტაბილურობის განცდისთვის ქვეყნები ძირითადად მიმართავენ: რეინტეგრაციას, რეგულარულ და ხანგრძლივ მინდობით აღზრდას და გაშვილებას. სამომავლო ზრუნვის ფორმის განსაზღვრაზე მუშაობის ვალდებულებას სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ვარიანტს გვთავაზობს. რეინტეგრაციაზე მუშაობის დაწყება ყველა ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა. მინდობითი აღზრდისა და გაშვილების ალტერნატივების არჩევასთან დაკავშირებით, ქვეყნებს სხვადასხვა გამოცდილება გააჩნიათ (Anthony, Krysik & Kelly, 2018)

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ყოველწლიურად სისტემაში მოხვედრილი ბავშვის ათიათასობით შემთხვევის მართვა უწევთ, სოციალური მუშაკები და სოციალური სამსახურის წარმომადგენლები ფედერალური კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულნი არიან დაიწყონ მუშაობა სამომავლო ზრუნვის ფორმის განსაზღვრაზე, მას შემდეგ რაც ბავშვი სისტემაში იმყოფება 15 თვიდან 22 თვემდე. რეინტეგრაციაზე მუშაობის დაწყება ამერიკაში გულისხმობს: ნათესაურ მინდობით აღზრდას, ბავშვის ნათესავის მიერ

მზრუნველობის დაწესებას, ოჯახში დაბრუნებას ან გაშვილებაზე მუშაობას (Rafeedie at al. 2019).

ნორდიკული ქვეყნები, ნიდერლანდები, ესპანეთი და ავსტრალია უპირატესობას ანიჭებენ ხანგრძლივი დროით მინდობით აღზრდაში განთავსებას, როდესაც ვერ ხერხდება დროის მოკლე პერიოდში ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება. ამ ქვეყნებისთვის უპირატესია ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შენარჩუნება (Sallnas, Vinnerjung& Westermark, 2004). ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი კი უმეტესად გაშვილებაზე მუშაობას ამჯობინებენ (Konijn at al, 2018).

მინდობით აღზრდის სახეები

საერთაშორისო პრაქტიკა

მინდობით აღზრდის სისტემა არის საუკეთესო ალტერნატივა, როდესაც ბავშვს არ შეუძლია იცხოვროს საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახში. მინდობით აღზრდის სისტემა მერყეობს მიზანსა და ხანგრძლივობას შორის. მიზანი შეიძლება იყოს ოჯახის გაძლიერება და ბავშვის უფლებების დაცვა, ხოლო ხანგრძლივობა დამოკიდებული იყოს მიზანზე და მერყეობდეს მოკლევადიანი -გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან რეგულარულ მინდობით აღზრდამდე (Konijn at al, 2018).

ხორვატიაში (2011წ) ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიყო ევროპაში გავრცელებული მინდობით აღზრდის სახეები. კვლევამ მოიცვა 12 სახვადასხვა ქვეყანა. მიღებული ინფორმაციის დამუშავებით მინდობით აღზრდის სისტემა შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ (Laklija, 2011):

1. ნათესაური მინდობით აღზრდა - მზრუნველობას უზრუნველყოფენ ბავშვის ნათესავები, თუმცა მონიტორინგი მაინც ხდება;
2. რეგულარული მინდობით აღზრდა- მინდობით აღმზრდლები არიან სერთიფიცირებული პირები;

3. გადაუდებელი მინდობით აღზრდა - მოკლევადიანი ქმედება, შეზღუდული დროით, მინდობით აღმზრდლები არიან სერთიფიცირებულები და გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები;
4. სპეციალური მინდობით აღზრდა - მინდობით აღმზრდლები ზრუნვის პროცესში იყენებენ სხვადასხვა სახის თერაპიულ ჩარევებს;
5. პროფესიული მინდობით აღზრდა - რაც გულისხმობს სხვადასხვა დამხმარე პროფესიების წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ ზრუნვას;
6. ჩანაცვლებითი/შეღავათიანი მინდობით აღზრდა - გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევებში, რათა რამოდენიმე დღით (შაბათ-კვირას) მინდობით აღმზრდლებმა შეძლონ დასვენება და ენერგიის აღდგენა;
7. Back up მინდობით აღზრდა - ბიოლოგიური ოჯახებისთვის, რომლებიც მაღალ რისკ ჯგუფს განეკუთვნებიან, ემოციური, ინფორმატიული და ინსტრუმენტალური დახმარების გაწევა;
8. „კერძო“ მინდობით აღზრდა - მიმდინარეობს სისტემიდან დამოუკიდებლად. ზრუნვას ახორციელებან „ძიძები“ და ანაზღაურებს უხდიან ბიოლოგიური მშობლები. აღნიშნული მიმართულება გამოიყენება ძირითადად მშობლების მიგრაციის შემთხვევის დროს. საჭიროა მოხდეს სოციალური სისტემის ჩართულობა ამ ტიპის შემთხვევის დროს ბავშვის უფლებების დასაცვად.

თუ კი საჭირო ხდება ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსება პირველ რიგში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნათესაურ მინდობით აღზრდას, რადგან ამ შემთხვევაში ბავშვს არ სჭირდება ძირეულ ცვლილებებთან შეგუება. ნათესაური მინდობით აღზრდის შემთხვევების მაჩვნებელი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. 2014 წლის მონაცემებით ინგლისსა და უელსში ნათესაური მინდობით აღზრდის შემთხვევებმა 11% შედაგინა, ამერიკის შეერთებულ შტატებში - 23%, ესპანეთში - 80% (Konijn at al, 2018).

საქართველოს გამოცდილება

საქართველოში მხოლოდ 4 სახის მინოდბით აღზრდის ტიპი არსებობს:

1) ნათესაური მინდობით აღზრდა - ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის ნათესავთან მისი განთავსება;
2) რეგულარული მინდობით აღზრდა - მინდობით აღმზრდელსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბავშვისთვის ოჯახური გარმოს შექმნა;
3) გადაუდებელი მინდობით აღზრდა - ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით შეთავსების ანგარიშის გარეშე მინდობით აღმზრდელთან განთავსება;
4) ჩამნაცვლებელი მინდობით აღზრდა - მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვის დროებით სხვა მინდობით აღმზრდელთან განთავსება, თუმცა პრაქტიკაში მინდობითი აღზრდის ამ სახეობას საქართველოში არ ვხვდებით (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017).

რაც შეეხება ნათესაურ მინდობით აღზრდის მაჩვენებელს სსიპ სოციალური მომსხურების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყენებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2019 წელის მარტის თვის ჩათლით, ნათესაურ მინდობით აღზრდაში საქართველოს მაშტაბით განთავსებულია 210 ბავშვი (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019).

მინდობით აღზრდის მოდელები- საერთაშორიოს პრაქტიკა

თანამედროვე ლიტერატურაზე დაყრდნობით (Rafeedie at al, 2019) გამოიყოფა მინდობით აღზრდის ორი სახის მოდელი:

- გაფართოებული/დროებითი მოდელი - გულისხმობს ბავშვის ფიზიკური უსაფრთხოებისა და პირველადი/ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას;
- ბავშვზე ცენტრირებული მოდელი - კი გულისხმობს ბავშვის საბაზისო საჭიროებებთან ერთად ბავშვის მიჯაჭვულობის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვას, განსაკუთრებით კი ჩვილობის ასაკის პერიოდში

ამერიკულ ლიტერატურაში ვხვდებით მინოდბით აღზრდის ინოვაციურ მოდელებს : “ოჯახი ოჯახისთვის“ და „გაზიარებული ოჯახური ზრუნვა“ (Chipung and Goodley, 2004).

მოდელი „ოჯახი ოჯახისთვის“ პირველად პრაქტიკაში დამკვიდრდა მერილენდის, ალაბამას, ნიუ მექსიკოს, ოჰაიოსა დ პენსილვანიის შტატებში. მინდობით აღმზრდელის შრომა ანაზღაურდება, არამხოლოდ სისტემაში მყოფი ბავშვებისთვის გაწეული ზრუნვისთვის, არამედ მენტორული საქმიანობისთვის, ბავშვებისა და ბიოლოგიური ოჯახების ურთიერთიერთობის ხელშეწყობისთვის. სოციალური მუშაკი, მინდობით აღმზრდელი, ბიოლოგიური მშობლები და ადგილობრივი ორგანიზაციის წრმომადგენლები ურთიერთშეთანხმებულად მუშაობენ რეინტეგრაციის მიზნის მისაღწევად.

„გაზიარებული ოჯახური ზრუნვა“ (SFFC) არის დაგეგმილი მოდელი, რომელიც მუშაობს ბილოგიურ მშობლებთან და ბავშვებთან. სოციალური მუშაკები აკავშირებენ და რთავენ ოჯახებს სხვადასხვა სამთავრობო და არასმათავრობო ორგანიზაციების სერვისებში (მაგ.: ნივთიერებებზე დამოკიდებულთა დახმარების პროგრამა დედებისათვის და ბავშვებისთვის). ამ მოდელის განხორციელება მოითხოვს ძლიერი სერვისების არსებობას, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია მაღალ ფინანსურ შესაძლებლობებთან. თუმცა ამ მოდელის მთავარი შეზღუდვა ბიოლოგიური მშობელების მოტივაციაა. მიდგომის პრაქტიკაში დანერგვის წარმატების საწინდარი მშობლების მაღალი ინტერესი და მოტივაციაა შვილების მიმართ. პრაქტიკაში გამოყენება და წარმატებული მაგალითები გვხვდება სოციალურად იზოლაციაში მყოფი და მწირი მშობლის უნარ-ჩვევების მქონე მშობლების შემთხვევაში (Chipungu and Goodley, 2004).

მინდობით აღზრდის ანაზღაურება

საქართველოს რეალობა

მინდობით აღზრდის ანაზღაურების სისტემის ისტორია სახვადასხვა ქვეყანას სხვადასხვაგვარი აქვს. ჩვენს ქვეყანაში არსებობს წრფივი მიდგომა, დაფინანსება არ

განსხვადვება არც ასაკობრივი და არც გეოგრაფიული ტერიოტორიის მიხედვით (საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ, 2006)

საქართვლოში მინდობით აღზრდის ანაზღაურება განისაზღვრება „საქართველოს სოციალური დახმარების შესახებ“ საქრთველოს კანონმდებლობით. 2019 წლის 01 იანვრიდან ნათესაური მინდობით აღზრდის ანაზღაურება შეადგენს 200 ლარს, არანათესაური რეგულარული მინდობით აღზრდის ანაზღაურება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის შეადგენს დღეში 30 ლარს, ხოლო სპეციალური საჭიროების არმქონე ბავშვებისთვის 16 ლარს დღეში; გადაუდებელი მიდნობით აღზრდის ანაზღაურება გამოიანგარიშება დღიურად, დღეში 20 ლარის ოდენობით. საქართველოს კანონმდებობა არ ითვალისწინებს ასაკობრივ თუ გეოგრაფიულ განსხვავებას და შესაბამაისად სხვადასხვა საჭიროებებს (საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ, 2006).

საერთაშორისო პრაქტიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ბავშვთა დაცვის სისტემა მრავალწლიან ისტორიას ითვლის, დაფინანსება განსხვავდება შტატების მიხედვით. არ არსებობს ფედერალური მაჩვენებელი და არც სტანდარტული მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ადეკვატურ თანხებს სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების საჭიროებების სრულყოფილ დაკმაყოფილებას.

ჰაქსონისა და კოლეგების (2018) მიერ კვლევის ფარგლებში დამუშავებულ იქნა 2007 წელს ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია ბავშვის ასაკისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით და 2016 წლის საარსებო მინუმუმის შედარებით. ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკური ინფორმაციით 2015 წელს სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებოდა 428 000 ბავშვი, მათგან 45% არანათესაურ მინდობით აღზრდაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში მინდობით აღზრდის დაფინანსება განსხვავდება როგორც შტატის, ასევე, ასაკის მიხედვით. ვისკოსინის შტატში 232$ შეადგენს, კოლუმბიის შტატში კი 1003$. ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა სისტემა აღიარებს, რომ ასაკობრივი

საჭიროებები განსხვავებულია და შესაბამისად საჭიროებს სხვადასხვა სახის დაფინასებას. აშშ-ში 2 წლის ასაკის მინდობით აღსაზრდელის დაფინანსება დაახლოებით 555$, 9 წლის ბავშვისთვის - 593$, 16 წლის ასაკის ბენეფიცარისთვის კი 655$ (Ahn, Panfilis, Frick& Barth, 2018).

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის სისტემას, მინდობით აღმზრდელის ანაზღაურება 2017 წლის მონაცემებით წელიწადში დაახლოებით 40 000 ფუნტს შეადგენს (Baginsky, Gorin & Sands, 2017).

მინდობით აღსაზრდელები

ზრუნვის სისტემაში მოხვედრის ეტაპზე არსებული სირთულეები

მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვებისთვის სისტემაში მოხვედრა რიგ ემოციურ თუ ფსიქოლოგიურ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან მათ აქვთ რთული წარსული გამოცდილება ბიოლოგიური ოჯახიდან ან ზრუნვის სხვა სისტემიდან გამომდინარე (Orme and Buehler, 2011). უმეტესობა თანხმდება, რომ ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან განცალკევება არის ტრავმული გამოცდილება, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ბავშვსა და ოჯახს. ხშირად სისტემა ვერ ხედავს მიჯაჭვულობის დარღვევაზე მუშაობის საჭიროებას (Rafeedie at al,2019).

თუმცა ხშირ შემთხვევაში ბავშვთა ზრუნვის სისტემა კონცენტრირებულია მხოლოდ ბავშვის უსაფრთხოებაზე, კეთილდღეობასა და მუდმივობის განცდაზე (Anthony, Krysik & Kelly, 2018).

მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს მოსალოდნელია, რომ ჰქონდეთ სირთულეები სამი მიმართულებით: მიჯაჭვულობა (მათ უკვე აქვთ დანაკარგის გამოცდილება), ქცევითი სირთულეები (მათ ხშირად აქვთ რთული ქცევები, მათ მიმართაც ვინც უყვართ), თვითშეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები (ხშირ შემთხვევაში

ბავშვებს არ აქვთ ჩამოყალიბებული და განვითარებული პოზიტიური ფიქრები საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე) (Wilson, Petrie & Sinclair, 2003).

მიჯაჭვულობის საკითხი არის ერთ-ერთი მთავარი, რაზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს სიტემამ. ბავშვის ასაკიდან გამომდინარე მიჯაჭვულობის დარღვევა სხვადასხვარ პრობლემას იწვევს და სოციალური მუშაკებისა თუ მინდობითი აღმზრდელების მხრიდან უნდა მოხდეს სწორი დაგეგმვა ბავშვის ასაკისა და განვითარების გათვალისწინებით. ბრენდა ჰარდენი გვთავაზობს რეკომენდაციებს თუ რა საკითხებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი სხვადასხვა ასაკში (Harden, 2004):

- ჩვილობის ასაკში სისტემაში მოხვედრილი ბავშვისთვის მნიშვნელოვანია პოზიტიური მიჯაჭვულობისა და თვითავტონომიის ჩამოყალიბებაზე მუშაობა.
- სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ყურადღება უნდა გამახვილდეს ემოციების თვითრეგულირებისა და მისაღები ქცევის პატერნების სწავლებაზე;
- შუა ბავშვობის ასაკში სკოლისა და მეგობრების შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სკოლასა და თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- მოზრადობის ასაკში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ინდენტობის სწორი ჩამოყალიბების ხელშეწყობასა და მომავლის პერსპექტივის სწორ დანახვაში.

დარღვეულ/გაწყვეტილ მიჯაჭვულობას აქვს არამხოლოდ დაუყოვნებლივ გამოვლენილი შედეგები, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში გამოვლენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის დარღვევები. ბავშვთა ზრუნვის სისტემაში მოხვედრილი ბავშვების შემთხვევაში ამას ემატება მზრუნველების/მზრუნველობის ფორმისა და საცხოვრებელი ადგილის ხშირი ცვლაც. თუმცა სისტემას და სოციალურ მუშაკებს ხშირად ავიწყდებათ მიჯაჭვულობის საკითხი განსაკუთრებით კი გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევაში. სწორედ ამ და სხვა ფაქტორების გამო, ამერიკის

შეერთებული შტატების უახლოესი მონაცემებით (Vischer et al, 2017 წ, გვ 12) რეინტეგრირებული ბავშვების 30% კვლავ სისტემაში ხვდება (Rafeedie at al, 2019).

მინდობით აღსაზრდელებს აქვთ უარყოფითი წარსული გამოცდილება და „ჭრილობები“ არამხოლოდ ოჯახის დატოვების, არამედ სისტემაში მოხვედრისას გამოც, რადგან იძულიბულნი არიან შეიცვალონ მათთვის მნიშვნელოვანი საცხოვრებელი ადგილი და გარემო. ხშირად სისტემაში მომუშავე ადამიანებს, ბავშვზე ზრუნვის დაგეგმვის პროცესში ეს მახასიათებელი ყურადღების ცენტრიდან გამორჩებათ ხოლმე, ამიტომ საჭიროა ბავშვთან მომუშავე ყველა სპეციალისტმა ურთიერთშეთანხმებულად იმუშაოს, რათა მოხდეს ბავშვის ცხოვრების ხარისხის ამაღლება (Bass, Shields & Behrman, 2004).

საცხოვრებელი ადგილის ხშირი ცვლა და არასტაბილურობის განცდა მინდობით აღსაზრდელებში იწვევს ასოციალური ქცევების, აკადემიური პრობლემების, უარყოფითი თვითშეფასებისა და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალ რისკს (Konijin at al, 2018).

გლესონისა და კოლეგების აზრით, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები მიეკუთვნებიან მაღალ რისკ ჯგუფს განუვითარდეთ ქცევითი და ემოციური პრობლემები, ეს პირდაპირ კავშირშია სოციალურ მხარდაჭერასთან და მათი აზრით, მიანიშნებს პროგრამის ნაკლოვანებაზე და პრევენციული ღონისძიებების ნაკლებობაზე (Orme and Buehler, 2011).

მინდობითი აღზრდის პროგრამის ერთერთი მთავრი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვი რომელიც დაბადებიდან მინდობითი აღზრდის სისტემაში იზრდებოდა, წლების შემდგომ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვი დაბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახში და ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობა ირღვევა მიმღებ ოჯახთან მიმართებაში, რაც ბავშვის რეტრავმატიზირებას იწვევს. სწორედ ამიტომ, პროგრამის განხორციელება მიმართული უნდა იყოს ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შენარჩუნებასა და გამტკიცებაზე (Rafeedie at al, 2019).

განათლების ხელმისაწვდომობა

ხარისხიანი განათლების მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინდობით აღსაზრდელებისთვის, რათა მათ ჰქონდეთ საკუთარი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობა. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით მინოდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების 94.3% ჩართულია საგანმანათლებლო პროცესში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019). 2019 წლის მარტის თვის მონაცემებით საქართველოში 262 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იმყოფება მინდობით აღზრდის სისტემაში (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019), თუმცა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა ნიშნავს თუ არა, რომ გათვალისწინებულია და სწორადაა შერჩეული პროგრამა ბავშვისთვის?

აკადემიური მიღწევები და სკოლაში ჩართულობა ასოცირდება მნიშვნელოვან შედეგებთან, როგორიცაა უმაღლესი განათლების მიღების, პროფესიულ კოლეჯში სწავლის შესაძლებლობა, მაღალი კარიერული მიღწევები და ნორმალური სამსახური და მომავლის უკეთესი შესაძლებლობა (Ryan, Hernandez & Herz, 2007).

კვლევები ცხადყოფს, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე არასრულწლოვნები, რომლებიც იმყოფებიან ზრუნვის სისტემაში, აქვთ უფრო დაბალი აკადემიური მოსწრება მათთან შედარებით, ვინც ზრუნვის სისტემაში არ იმყოფება. მიზეზი განპირობებულია ზრუნვის ფორმისა და ადგილმდებარეობის ხშირი ცვლით, რაც თავის მხრივ გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულების ხშირ ცვლასაც (Geenen and Powers, 2006).

კორტნისა და დვორსკის (2005წ) გამოქვეყნებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ილინოისს, ვისკოსინის და აიოვას შტატების ზრუნვის სიტემიდან გასული არასრულწლოვენბის 1/3 არა თუ საშუალო სკოლის ატეტსტს, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატსაც კი არ ფლობდა (Ryan, Hernandez & Herz, 2007).

ამერიკის შეერთებულ შტატებში მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების 35% აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭირობა, თუმცა მხოლოდ 16% ჰყავს ინდივიდუალური ასისტენტი. კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ როდესაც სოციალური მუშაკები გეგმავენ ბავშვის მზრუნველობის ფორმას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მაღალი ხარისხით მიწოდება მხოლოდ 24% შემთხვევაში არის პრიორიტეტული (Geenen and Powers, 2006).

საქართველოს კანონმდებლობით ყველა ბავშვის უფლებაა ჰქონდეს ხელმისაწვდომი განათლება. მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნებისთვის შესაბამის სკოლაში ჩარიცხვა, სოციალური რეაბილიტაციისა და და ბავშვთა ზრუნვის პროგრამებში ჩართვისას პრიორიტეტით სარგებლობენ, არ უწევთ დიდ რიგში დგომა დღის ცენტრის მომსახურებისა თუ ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ჩართავსთან დაკავშირებით (სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2019).

ჯანმრთელობის დაცვა

მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები უფრო მეტად არიან მიდრეკილები სიბრაზისა და დეპრესიისადმი, ხშირია აგრესიული ქცევები, თვიდაზიანების შემთხვევები, თვითდესტრუქციული და დელიქვანტური ქცევები (Denuwelaere and Bracke, 2007).

რეგულარული მინდობით აღზრდა გავლენას ახდენს არასრულწლოვნების უნარ-ჩვევებზე და ცხოვრების გამკლავების ხერხებზე. რეგულარულმა მინდობითმა აღზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს ფსიქოლოგიური პრობლემები და ნორმალური ფუნქციონირების დარღვევევები, როგორც მოკლე ვადაში, ისე გრძლევადიან პერსპექტივაში, რაც თავისმხრივ დაკაშირებულია მაღალ სამედიცინო ხარჯებთან (Schofield and Beek, 2005).

მინდობით აღზრდაში განთავსებული არასრულწლოვნები სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რომელიც მთლიანად აფინანსებს საბაზისო პაკეტს. ოჯახის ექიმის მომსახურება ხელმისაწვდომი და უფასოა, ასევე, სხვადასხვა ანალიზები, ოჯახის

ექიმის დანიშნულებით სპეციალიზირებული ექიმის მომსახურებისას ფინანსდება მთლიანი საფასურის 70%. სადაზღვეო პაკეტი 100%-ით აფინანსებს ექიმის მიერ დანიშნულ ლაბორატორიულ გამოკვლევებს. სტომატოლოგიური მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსებას საყოველთაო დაზღვევა არ ითვალისწინებს (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, 2019), თუმცა მედიკამენტების დაფინანსება გარკვეულწილად შესაძლებელია თუ კი არასრულწლოვანს აქვს ქრონიკული დაავადება და დანიშნული მედიკამენტი შეესაბამება „ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამნეტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ჩამონათვალში არსებულ მედიკამენტს (ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, 2019).

სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი ახალგაზრდები მიეკუთვნებიან მაღალი რისკის ჯგუფს გახნდენ ალკოჰოლზე ან სხვადასხვა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულნი (Ryan, Hernandez & Herz, 2007). ამერიკის შეერთებული შატატების ნივთიერებებზე დამოკიდებულებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის ადმინისტრაციის (SAMHSA) 2005 წლის მონაცემებით ბავშვთა ზრუნვის სისტემიდან გასული თეთრკანიანი ახალგაზრდების 41% მოიხმარდა ალკოჰოლს, 36 % კი იყენებდა სხვადასხვა სახის ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ძირითადად მარიხუანას. ქართული რეალობიდან გამომდინარე სოციალური მომსახურების საგენტო ან არასამთავრობო ორგანიზაციები არ ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის, რეპროდუქციული, სქესობრივი განათლებისა თუ ჯანსაღი ცხოვრების შესახებ საგანმანათლებლო მოდულებს. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების განათელებაზე ზრუნვა სკოლის პრეროგატივად ითვლება, თუმცა ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის გაწერილი საგნებისა თუ მოდულების ჩამონათვალი, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხებს დაფარავს (ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, 2019).

დამხმარე სერვისები

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შემთხვევაში მათი წარსული გამოცდილება ნეგატიურ შედეგებს ახდენს არასრულწლოვანის ფსიქიკურ, ემოციურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა სარებალატაციო სერვისების არსებობა (Ryan, Hernandez & Herz, 2007).

დამხმარე სერვისები მოიცავს სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებს, განსაკუთრებით ძალადობაგანცდილი არასრულწლოვნების შემთხვევაში. ამერიკაში მინდობით აღმზრდელი სპეციალისტისგან სწავლობს როგორ გაუმკლავდეს ბავშვის რთულ ქცევებს, როგორ იმუშაოს ბავშვისთვის თვითშეფასების ამაღლებაზე (Wilson, Petrie & Sinclair, 2003).

ეფექტური შემთხვევის მართვისთვის, როდესაც საქმე გვაქვს ტრავმული სტრესორებისგან გამოწვეულ ქცევით სირთულეებთან, მინდობით აღმზრდელებისთვის და არსრულწლოვნებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კოგნიტიურ-ბიჰევიორისტული თერაპია. მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს მინდობით აღმზრდელებისთვის უწყვეტი ტრენინგების მიწოდებას სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით (Konijn at al, 2018).

დიდი ბრიტანეთის მინდობით აღმზრდელები ხშირად საუბრობენ მხარდაჭერის უწყვეტობაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მინდობით აღსაზრდელს აქვს სხვადასხვა განსაკუთრებული საჭიროება. დიდი ბრიტანეთის მინდობით აღმზრდელების აზრით მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო და თერაპიული მხარდაჭერა (Baginsky, Gorin & Sands, 2017).

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე არსებულ დამხმარე სერვისებად მიიჩნევა დღის ცენტრის მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ადრეული განვითარების ქვეპროგამა, რებილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის პროგრამა

(სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2019)

სისტემიდან გასვლა

სისტემიდან გასვლა გულისხმობს 18 წლის შესრულებას ან/და 21 წლის შესრულებას გამონაკლის შემთხვევებში. სისტემიდან გასული მოზარდების სირთულები შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: არასახარბიელო ჯანმრთელობის მდგომარეობა, საცხოვრებლის არარსებობა, დაბალანაზღაურებადი სამუშაო, ბარიერები განათლების გაგრძელების შესაძლებლობაში, არათანიმდევრული და არარსებული მხარდაჭერა (Ryan, Hernandez & Herz, 2007).

მერი ბიკისმა და კოლეგებამ ჩატარეს კვლევა დიდი ბრიტანეთში ხანგრძლივი დროით მინოდბით აღზრდაში განთავსებული ბავშვების შესახხებ. კვლევისა გამოვლინდა, რომ პროგრამაში ხანგრძლივი ყოფნა პირდაპირ აისახება არასრულწლოვნების ფსიქოსოციალურ კეთილდღეობასა და თვითშეფასებაზე. პროგრამაში ყოფნინსას არასრულწლოვნებს აქვთ მდგრადობის განცდა, მაგრამ ამ პროგრამას აქვს დასასრული, სწორედ ამიტომ საჭიროა სოციალური მუშაკის ჩართულობა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში. განხორციელებულ სოციალურ მუშაობაზეა დამოკიდებული სისტემიდან გასული ახალგაზრდების ადაპტაციის უნარი გარემოში (Schofield and Beek, 2005).

სისტემიდან გასვლისას მნიშვნელოვანია მინდობით აღსაზრდელი აღჭურვილი იყოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარჩვევებით. ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების დეპარტამენტის 2015 წლის მონაცემებით ბავშვთა ზრუნვის სიტემას ყოველწლიურად 20 000 მოზარდი ტოვებს ასაკის გამო. მასაჩუსეტის შტატში გამოკითხულ იქნა 29 მოზარდი, რომელიც გასული იყო მინდობით აღზრდის სისტემიდან, უმეტესი მათგანი მიუთითებდა, რომ ისინი მზად არ იყვნენ დამოუკდებელი ცხოვრებისთვის, მათ არ გააჩნდათ შესაბამისი გამოცდილება და

ცოდნა ყოფილიყვნე მარტო ცხოვრების წინაშე. სისტემიდან გასული პიროვნებებსითვის საჭირო უნარჩვევებით აღჭურვა პირველ რიგში მოიცავს განთლების დონეს- სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული პირისათვის მაქსიმალური ყურადღება ენიჭება განთლების ხელმისაწვდომობასა და მის ხარისხს; პროფესია- პროფესიული უნარჩვევები, რომ მას საშუალება ჰქონდეს თავად წარმართოს საკუთარი ცხოვრება, შეძლოს დასაქმება და იყვნენ დამოიუკიდებელი (Olson, Scherer & Cohen, 2017).

კიდევ ერთი ყველაზე ფართომაშტაბიანი „შუადასავლეთი კვლევა“ (2013წ), რომელმაც მოიცვა ამერიკის შუადასსავლეთის შტატების ზრუნვის სიტემიდან გასული ადამიანები, გვთავაზობს მონაცემებს, რომ სისტემიდან გასული 20% 26 წლის ასაკში ქუჩაში ცხოვრობს (Fowler, Jinjin, OrinDay & Landsverk, 2017).

სისტემიდან გასული ახალგაზრდები არ განიცდიან მხოლოდ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარჩვევების ნაკლებობას. ერთერთ მთავარ პრობლემას უსახლკარობის რისკი წარმოადგენს. ამერიკის შეერთებული შატატების მკვლევარების მიერ დამუშავდა 2008- 2009 წლის ბავშვთა კეთილდღეობისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის კვლევის შედეგები. სიტემაში მყოფი ახალგაზრდები მიეკუთვნებიან უსახლკარობის მაღალ რისკს. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისთვის სიტემიდან გასვლის შემდგომ რეგულარულ საცხოვრისს, ხოლო სისტემიდან გასული ახალგაზრდების უმეტესობას არ ყავს მშობელი, ან არ იცის მშობლის ადგილსამყოფელის შესახებ. კალიფორნიის შტატის 2016 წლის მონაცმებით (Fowler at al, 2017) სისტემიდან გასული მოხარდების 40% აქვთ ქუჩაში ცხოვრებისა და ღამის გათენების გამოცდილება.

ხშირად სისტემიდან გასულ ბავშვებს არ აქვთ მწირე ინფორმაციაც კი, თუ როგორ უნდა იურთიერთონ დამოუკიდებლად პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციებთან. მინდობით აღზრდაში მყოფი ბენეფიციარები არ ფლობენ ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვისა და მიმწოდებელი ორგანიზაციების შესახებ. სისტემაში ყოფნინსა ბავშვები არ ინტერესდებიან არსებული ინფორმაციით, რადგან არ საჭიროებენ ან არ აქვთ საშუალება

მიიღონ ეს ინფომაცია მიმღები მშობლისგან ან სოციალური მუშაკისგან (Mark and McMillen, 2015).

სისტემური პრობლემებიდან გამომდინარე, დელიქვანტური და არასამართლებრივი ქცევის ჩადენის რისკი სისტემიდან გასული მოზარდების შემთხვევაში მაღალია. კორტნისა და დვორსკის ჩატარებული კვლევის შედეგად (2005 წ), რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა სისტემიდან გასული (სულ 294) 16დან 22 წლამდე ახალგაზრდა ილინიოსის, ვისკოსინისა და აიოვას შტატში. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა სხვადასხვა სახის კლასიფიცირებულ მეთდებს; ღია და დახურულ კითხვარებს, სიღრმისეულ ინტერვიუებსა და მოზარდების შესახებ ოფიციალური დოკუმენტების ანალიზს. მიღებული მონაცემები დამუშავებულ იქნა ჯგუფზე დაფუძნებული მოდელის გამოყენებითა(SGM) ჯონისისა და კოლეგების მიერ შექმნილი მეთოდით (SAS). გამოკითხულთა 12% აღნიშნავდა რომ 16 წლის მიღწევამდე სულ მცირე ერთი დაპატიმრების გამოცდილება ჰქონდათ, ხოლო 45% 16დან 22 წლამდე ერთი შემთხვევა (Ryan, Hernandez & Herz, 2007).

კაროლინა კონიჯინისა (Konijn at al, 2018) და კოლეგების მიერ 2018 წელს გაკეთებული იქნა მინოდბით აღზრდის არსებული კვლევების მეტა ანალიზი. კვლევების საერთო რაოდენობა, მოიცვა 84 447 მინდობითი აღსაზრდელი; დამუშავებული კვლევები ჩატარებულ იქნა აშშ-ში, კანადაში, ევროპასა და ავსტრალიაში. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენელები უფრო მეტად ახორციელებენ სარისკო ქცევებს სისტემიდან გასვლის შემდგომ, ვიდრე გოგონები.

მიუხედავად იმისა რომ თითქმის ყველა ქვეყანს აქვს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსამზადებელი კურსები, ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ ხშირადაა გაკრიტიკებული, რადგან ეს პროგრამები ხშირად არის დიდაქტიკური და რელური სამყაროს საჭიროებებისგან დაშორებული (Olson, Scherer & Cohen, 2017).

საქართველოში არ არსებობს ზუსტი და საჯარო სტატისტიკური მონაცემები თუ სად მიდიან, რა საჭიროებები და პრობლემები აქვთ მინდობით აღზრდის პროგრამიდან გასულ

ბენეფიციარებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს მთავარი სპეციალისტთან ინტერვიუს დროს (ე.ზურაბიანი) , რომელიც კურირებს მინდობით აღზრდის სიტემას, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2017 წელს ასაკის მიღწევის გამო მინდობით აღზრდის სისტემა დატოვა 68 ახლაგზარდამ; 2018 წელს 83; 2019 წლის 1 ივნისის მონაცემებით 50.

მინდობით აღმზრდელები

არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებს მინობით აღზრდის სტანდარტებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მხრივ. თუმცა ერთიანი შეთანხმება თუ როგორი პიროვნული მახასიათებლებისა და ხასიათის პიროვენება შეიძლება გახდეს მიმღები მშობელი არ არსებობს; მაშინ როდესაც მინდობით აღმზრდელი არის ადამიანი, რომელიც ყოველდღიურ და გრძელვადიან საჭიროებებს უკმაყოფილებს მზრუნველობამოკლებულ ბავშვს, და სწორედ მინდობით აღმზრდელის პიროვნული მახასიათებლები დიდ გავლენას ახდენს ზრუნვაში მყოფ ბავშვსა და ზოგადად სისტემის ხარისხზეც (David C. Rowe, 2003).

წარმატებული მინდობითი აღზრდის სიტემა დამოკიდებულია სამ კომპონენტზე: 1. მინდობით აღსაზრდელზე; 2. მინდობით აღმზრდელზე 3. მიმღებ მშობელსა და ბავშვს შორის წარმატებულ კომუნიკაციაზე (Wilson, Petrie & Sinclair, 2003).

მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის მიზნით პიროვნებამ უნდა მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს, ფაქტობრივი საცხორებელი ადგილის მიხედვით. ამის შემდგომ მინდობით აღმზრდელის მსურველი პირი გაივლის შესაბამის ტრენინ კურს. სერთიფიკატის აღების შემედგომ სოციალური მუშაკი ახდენს ბავშვის საჭიროებებისა და ბავშვის მინოდბით აღზრდის მსურველი პირის საჭიროებების შემოწმებას. სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი საბჭო.

საქართველოს კანონმდებლობით მინდობით აღმზრდელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არ უნდა იყოს ნასმართლევი, ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს ბავშის საჭიროებები, დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები. მინდობით აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მინიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 16 წელს. დოკუმენტის მიხედვით ოჯახი რეგისტირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულა 100 000 და მეტი, სავალდებულოა სპეციალური ტრენინგების გავლა, რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ეტაპებსა და თავისებურებებს (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017).

მინდობით აღმზრდელად ყოფნის მოტივაცია ყველასთვის განსხვავებულია. ეს შეიძლება იყოს სიკეთის კეთება, მარტოობის დაძლევა, ფინანსური მდგომარეობა, წარსული პროფესიული გამოცდილება.

შვედეთში (2001წ) მინდობით აღმზრდელების მოტივაციის გამოსაკვლევად ჩატარებული კვლევი შედეგად გამოიკვეთა ოთხი მიზეზი:

- კავშირი, რომელიც პასუხიმგებლობას აგრძნობინებდა კონკრეტული ბავშვის მიმართ;
- მშობლად ყოფნის სურვილი; წყვილები რომლებსაც არ ჰყავდათ ბიოლოგიური შვილები;
- დიასახლისები, რომლებიც სახლში იმყოფებოდნენ და სურდათ სახლში გაწეული საქმიანობა ექციათ ანაზღაურებად საქმიანობად;
- „ცარიელი ბუდის“ სინდრომის დაძლევა (Gunvor Andersson, 2001).

როგორც ვიცით, ევროპის ქვეყნები ბავშვთა კეთილდღეობისა და ზრუნვის სიტემის ხარისხით განსხვადებიან, მათ შორის მოწინავე ქვეყნებად ნორდიკული ქვეყნები ითვლება, ხოლო სამხრეთ ევროპისა და ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების სიტემის ხარისხი ცოტათი მოიკოჭლებს. ნორდიკული ქვეყნების მთავრობა დიდ როლს თამაშობს მინოდობით აღზრდის პროგრამის პოპულარიზაციაში, მათ აქვთ როგორც პოლიტიკური

ასევე ეკონომიკური შესაძლებლობეი განახორციელონ ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის მაღალი სტანდარტი. სწორედ მაღალი ხარისხიდან გამომდინარე შვედეთის მინდობით აღზრდის შესახებ კანონი არ ცნობს გამონაკლისს. ყველა აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს მოსამზადებელი ტრენინგები ბავშვის განვითარების თავისებურებებისა და პოზიტიური მინდობით აღზრდის შესახებ (Maja Laklija, 2011).

ბევრ ქვეყანას არ აქვს მინიმალური ასაკობრივი სხვაობა, მთავარი მოთხოვნა არის რომ იყვნენ სრულწლოვნები. ხოლო იტალიის, უნგრეთისა და შვედეთის კანონმდებლობით მიმღები მშობელი არ შეიძლება იყოს 24 წელზე ნაკლები. ავსტრიის მოთხოვნებით პოტენციურ მინდობით აღმზრდელს უნდა გააჩნდეს კარგი შემოსავალი და ეკონომიკური შესაძლებლობა (Maja Laklija, 2011).

2017 წლის მონაცემებით დიდი ბრიტანეთის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ 44 320 შედაგინა, ხოლო 2016 წელს კი 44 625 (Baginsky, Gorin & Sands, 2017).

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2018 წელს საქართველოს მაშტაბით სულ 705 მინდობით აღმზრდელი ოჯახი იყო, ხოლო 2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით სულ 726 ოჯახია რეგისტრირებული (სტატისტიკური მონაცემები სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის შესახებ , 2019)

შოტლანდია, პოლონეთი და ავსტრიის ზოგიერთი შტატი ნათესაური მინოდბით აღზრდისას არ მოითხოვს რაიმე სახის ტრენინგის გავლის აუცილებლობას, თუმცა მინდობით აღმზრდელის გაწეული საქმიანობის მინიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება (Maja Laklija, 2011).

ავსტრია, მოითხოვს, რომ მინდობით აღმზრდელის მსურველ კანიდატებს ჰქონდეთ საკუთარი კარგი ეკონომიკური შესაძლებლობა და საკუთარი შემოსავალი; ასევე, ვალდებულებია არიან პროგრამაში ჩართვამდე სულ მცირე 3 შეხვედრა ჩანიშნონ

სოციალურ მუშაკთან და იყვნენ ინფორმირებულნი პროგრამის თავისებურების შესახებ (Maja Laklija, 2011).

იტალიაში არსებობს მინდობით აღმზრდელების თვითდახმარების ჯგუფები, რომელიც უზრუნველყოფს მიმღებების მხარდაჭერასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. ხშირ შემთვევაში ჯგუფის ფასილიტატორი არის სოციალური მუშაკი (Maja Laklija, 2011). საქართველოში ოფიციალურად არ არსებობს მინდობით აღმზრდელების თვითდახმარების ჯგუფები, მაგრამ როგორც კვლევისას აღმოჩნდა მინდობით აღმზრდელები ტრენინგის გავლისას იცნობენ ერთმენეთს, უახლოვდებიან, ცვლიან საკონტაქტო ინფორმაციას და ინარჩუნებენ კავშირს უშაულოდ მუშაობის პროცესში. ასეთი ჯგუფები თბილისის მასშტაბით არაფორმალური ხასიათისაა.

მინდობით აღზრდის პროგრამის წარმატებით განხორცელებაში დიდი წვლილი შეაქვს მინდობით აღმზრდელის, ბიოლოგიური მშობლების, ბავშვისა და სოციალური მუშაკის შეთანხმებულ და წარმატებულ ურთიერთ თანამშრომლობას. თუმცა როდესაც არ არის ზუსტად გაწერილი სოციალური მუშაკისა და მინდობით აღმზრდელის ურთიერთობის ნორმები და როლები, შესაძლოა მოხდეს ურთიერთობების არარეგულირება, აღრევა და კონფლიქტი. მიდნობით აღზრდაში მყოფი ბავშვის განვითარებაზე გავალენას ახდენს არა მარტო მინდობით აღმზრდელის ოჯახის სტაბილურობა, არამედ მინდობით აღმზრდელისა და სოციალური მუშაკის ურთიერთობაც. პროგრამის განხორციელებისას ხშირად გაურკვეველია სოციალური მუშაკის როლი. ვინ არის სოციალური მუშაკი მინდობით აღმზრდელისთვის და მინდობით აღსაზრდელისთვის?! სუპერვაიზორი, მომლაპარაკებელი, დამხმარე, მედიატორი? საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს არ აქვს ერთი კონკკრეტული როლი როლი (Lawrence Shulman, 1980).

„ევრიჩაილდის“ დაფინანსებით 2011 წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით განხორციელდა პირველი კვლევა საქართველოში მინდობით აღზრდის შესახებ. საქართველოს მაშტაბით გამოკითხულ იქნა 113 მინდობით აღსაზრდელი და 100

მინდობით აღმზრდელი. კვლევის შედეგად ვლინდება, რომ როგორც ბენეფიციარები, ასევე, მომსახურების მიმწოდებლები ზოგადად პოზიტიურ დამოკიდებულებას ავლენენ მინდობით აღზრდის მომსახურების მიმართ (Every Child, 2015).

მინდობით აღმზრდელები ხშირად არ ფლობენ სრულყოფილ ინფრომაციას მათ ოჯახში განთავსებული ბავშვის ქცევითი თუ ემოციური პატერნების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ბავშვს აქვს რთული წარსული გამოცდილება სხვადასხვა ზრუნვის ფორმაში ყოფნისას(Orme and Buehler, 2011). ცოდნა ბავშვის წარსული გამოცდილების (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინფორმაცია ბიოლოგიური ოჯახისა და სისტემაში მოხვედრის მიზეზებისა შესახებ, აკადემიური მიღწევები და სპეციალური საჭირობები) შესახებ მინდობით აღმზრდელებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან : მინდობით აღმზრდელს საშუალება აქვს ინფორმირებულად მიიღოს გადაწყვეტილება შუძლია თუ არა კონკრეტული ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება და საკუთარ ოჯახში მისი განთავსება; ინფორმირებულობა განაპირობებს შესძლო რესურსების გაანალიზებას და საჭირო სერვისებისა და მხარდაჭერის მოპოვებასაც (Denlinger and Dorius, 2018).

სწორედ აქ არის მნიშვნელოვანი სოციალური მუშაკის საქმიანობა, ხშირი ტრენინგებისა და შეხვედრების ჩატარება მინდობით აღმზრდელებთან , რათა მიმღებებს ჰქონდეთ ინფომრაცია რთული ქცევის მართვაზე; ქცევის რეგულირების შესახებ ბიოლოგიურ ოჯახთან დამშვიდობების შემდგომ (Haight, Black, Workman &Tata, 2001).

ბიოლოგიური ოჯახი და მათთან ურთიერთობა

მინოდობით აღზრდის პროგრამის მთავარი მიზანია მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისთვის ალტერნატიული მზრუნველობის ფორმის შეთავაზება. თუმცა მთავარი აქცენტი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციაზე კეთდება.

როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N64/142 (2010) აღნიშნავს „სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნებისთვის“ (United Nation, 2010)

მინდობით აზრდაში მყოფი ბავშვის უფლებაა ჰქონდეს ურთიერთობა მის ბიოლოგიურ ოჯახთან თუ კი ეს მის საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. რაც უფრო ხშირია ბიოლოგიური მშობლების ვიზიტების რაოდენობა , მით უფრო მაღალია რეინტეგრაციის შანსი (Sonya J. Leathers, 2003).

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით ბავშვი რომელიც მინობით აღრდის სიტემაში მოხვდა და იმყოფება უკვე 15დან 22 თვემდე, შტატის მთავრობა და სოციალური სამსახურის წარმომადგენლები ვალდებული არიან დაიწყონ სამი სახის მუშაობა: რეინტეგრაცია; მშობლის უფლებების ჩამორთმევა ან გასაშვილებელი სატატუსის მინიჭება (Bass, Shields & Behrman, 2004).

საქართველოს კანონმდებლობით მეორვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია 6 თვის შემდგომ დაიწყოს ბავშვის მიტოვებულად აღიარებული სტატუსზე მუშაობა,თუ კი ბავშვი რომელიც 24 საათიან ზრუნვის სიტემაში იმყოფება მშობელი არ იჩენს ყურადღებას და არ ინტერესდება ბავშვის მდგომარეობით. ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლოს მეშვეობით (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017).

ამერიკის მოკლე ვადიანი მინდობით აღზრდის პროგრამა მოიცავს დროის მოკლე პერიოდს და ამ დროის განმავლობაში ბიოლოგიური მშობლები გადიან ქცევის კოერექციისკენ მიმართულ ტრენინგებს (Rafeedie at al, 2019). სამწუხაროდ საქართველოში ასეთი პრაქტიკა არ არსებობს.

კაპისა და პროფის აზრით სიტემაში მოხვედრილი ბავშვების ბიოლოგიური მშობლები უიმედოდ არიან განწყობილი ბავშვთა ზრუნვის სიტემის მიმართ და თვლიან, რომ მშობლები არ არიან ჩართულნი ბავშვზე განხორციელებული ზრუნვის პროცესში (Alpert

and Britner, 2009). მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი თუ ბავშვთა უფლებების დამცველი თანხმდება იმაზე, რომ მშობლებისა და ბავშვების ურთიერთობის სიხშირე ზრდის რეინტეგრაციის შანს, არ უნდა დაგვავიწყდეს ის სირთულეები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ვიზიტისა.

მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისა და მშობლების ურთიერთობა დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე, განსაკუთრებით კი 7 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში. ურთიერთობაში იგულისხმება, როგორც პირისპირი ასევე სატელეფონო შეხვედრები. შეხვედრების სიხშირე აისახება ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები ემოციურად განიცდიან მშობლის წასვლას და ვიზიტის დასრულებისას მიმღებ მშობელს უჭირს ბავშვის ქცევის მართვა. უნდა არსებობდეს სპეცილური პროგრამები და ტრენინგები, რომლებიც გავლილი ექნება მინდობით აღმზრდელს და მოახერხებს სიტუაციის დარეგულირებას. მინდობით აღმზრდელმა უნდა აუხსნას სიტუაცია ბავშვს მისთვის გასაგები ენით და ეცადოს დამშვიდობება იყოს როგორც თამაში (Haight, Black, Workman &Tata, 2001).

ბავშვებისა და მშობლების შეხვედრის ოთახი უნდა იყოს მეგობრული, სასიამოვნო ატმოსფეროთი და უნდა იყოს შესაბამისი სათამაშოები. მშობლებისა და ბავშვების კომუნიკაცია შესაძლოა იყოს ვერბალური (თოჯინებთან ლაპარაკი) ან არავერბალური (თოჯინების ჩვენება და თამაში). როგორც კვლევებიდან ჩანს ბავშვები რთულ და აგრესიულ ქცევებს გამოხატავენ შეხვედრის დასასრულს. სწორედაც განშორება არის ყველაზე ტრავმული მომენტი ბავშვისთვის. მნიშვნელოვანია მინდობით აღმზრდელმა იცოდეს სხვადასხვა ტექნიკები, რათა შეძლოს ბავშის ტრავმული სიტუაციის დარეგულირება. სწორედ აქ იკვეთება სოცილურ მუშაკის დიდი როლი დაეხმაროს როგორც ბავშვს, ისე მინდობით აღმზრდელსა და ბიოლოგიურ მშობლებს (Sonya J. Leathers, 2003).

სოციალურმა მუშაკმა პირველ რიგში მხარი უნდა დაუჭიროს ბავშვებისა და ბიოლოგიური ოჯახების შეხვედრას, აღმოუჩინოს როგორც ემოციური მხარდაჭერა, ასევე დაეხმაროს სასიამოვნო გარემოს შექმნაში. სოციალურმა მუშაკმა მინდობით აღმზრდელებთან ერთად უნდა დაგეგმოს და ასწავლოს ბავშვს პოზიტიური ურთიერთობები და დანაკარგთან გამკლავების გზები. მიაწოდოს ბავშვს სრულყოფილი ინფომრაცია შემდგომი ვიზიტის შესახებ, საჭიროებისამებრ დაეხმაროს სპეციალური კალენდრის შექმნაში, რათა ბავშვს შეეძლოს ვიზუალურად და თამაშით გადაიტანოს განშორება (Haight, Black, Workman &Tata, 2001).

როგორი გავლენა აქვს ვიზიტებს ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე, ეს შესაძლოა დამოკიდებული იყოს სიხშირეზე; სტუმრობის მიზეზზე; მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის ხარისხსა და მინოდბით აღზრდაში ყოფნის ხანგრძლივობაზე (Sonya J. Leathers, 2003). სოციალურმა მუშაკმა უნდა მიაწოდოს სხვადასხვა პუბლიკაციები ბიოლოგიურ მშობლებს პოზიტიური მშობლობისა და ურთიერთობის ჩამოყალიბების შესახებ. ხშირ შემთხვევაში ბიოლოგიური მშობლები განიცდიან მშობლობის უნარ-ჩვევების ნაკლებობას, საჭიროებენ მათ განვითარებასა და სოციალური მუშაკების დახმარებას, რათა შეძლონ პირველრიგში ბიოლოგიურ შვილებთან ურთიერთობა რეტრავმატიზირების გარეშე და გრძელვადიან პერსპექტივაში კი რეინტეგრაცია (Haight, Black, Workman &Tata, 2001).

თუკი მინდობით აღმზრდელები დადებითად არიან განწყობილი, აქვთ ლოალური და არაკონფლიქტური დამოკიდებულება ბიოლოგიური მშობლებისა და მათი ვიზიტების მიმართ, როგორც კვლევებით დასტურდება ბიოლოგიური მშობლების ვიზიტები არ ახდენს უარყოფით გავლენას ბავშვის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე (Sonya J. Leathers, 2003).

ალტერნატიული ზრუნვის სიტემაში ხშირად ბავშვის მდგრადობა განისაზღვრება რეგულარული მინოდობითი აღზრდის მიწოდებაში, თუმცა არ უნდა დააგვავიწყდეს, მთავარია ბიოლოგიური ოჯახის იმგვარად გაძლიერება, რომ ბავშვის უფლება

ცხოვრობდეს ოჯახში არ დაირღვას. თუმცა ხშირად სისტემაში ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი და ბიოლოგიური მშობლების უფლებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშიც მოდიან (Rafeedie at al, 2019). მინდობით აღზრდის სისტემა ორინეტირებას უნდა აკეთებდეს არა მხოლოდ ბავშვის პირველადი საჭიროების დაკმაყოფილების მიწოდებაში, არამედ ოჯახზე ცენტრირებული პრაქტიკის განხორციელებაზე.

ოჯახზე ცენტრირებული პრაქტიკა გულისხმობს, „მოვუსმინოთ ოჯახის წევრებს, ვიყოთ ემპათიურები მათ აზრებთან, შიშებთან და წუხილთან მიმართებაში. ფოკუსირება მოვახდინოთ ოჯახის ძლიერ მხარეებზე, დავეხმაროთ და ვუზრუნველყოთ თავიანთი ბიოლოგიურ შვილებთან ემოციური კავშირის შენარჩუნებაში“ (Peter &Entriken,1995 გვ. 528).

ოჯახზე ცენტრირებული მიდგომა გულისხმობს ძალაუფლების კედლის მსხვრევას სოციალურ მუშაკსა და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის წევრების მიმართ. აღნიშნული პრაქტიკა გულისხმობს მრავალ ნაბიჯს რეინტეგრაციის მიზნის მიღწევისთვის, ისე რომ არ დაგვავიწყდეს ბავშვის ჭეშმარიტი უფლებები, სხვადასხვა მეთოდებისა და სერვისების გამოყენებას (მაგალითად ოჯახური კონფერენციები, რათა მშობლებმა გაიაზრონ არსებული მდგომარეობა და შეინარჩუნონ ჰომოესტაზი) (Alpert and Britner, 2009).

როგორც ვიცით, მინოდბით აღსაზრდელების ბიოლოგიურ ოჯახებს ხშირ შემთხვევაში აქვთ სტრუქტურირებული და კომპლექსური პრობლემები და საჭიროებები. სწორედ ამ და სხვა გამოწვევებიდან გამომდინარე ოჯახზე ცენტრირებული მიდგომის პრაქტიკაში გამოყენება დაკავშირებულია ბარიერებთან.

ლილი ალპერტისა და პრესტონ ბრიტნერის აზრით ბარიერები შეგვიძლია რამოდენიმე სახით გამოვყოთ (Alpert and Britner, 2009):

- ქეის მენეჯერები/სოციალური მუშაკების წინასწარი განწყობები და ცოდნის პრქტიკაში გამოყენება - კონკრეტულ შემთხვევაზე მომუშავე სპეციალისტებს ზოგიერთ შემთხვევაში აქვთ სკეპტიკური დამოკიდებულება ბიოლოგიური

მშობლების ქცევითი პატერნების ცვლილებაზე (მაგ. მოძალადე მშობელი); მიღებული ცოდნა და გავლილი ტრენინგები პროფესიის წარმომადგენლებს პრიორიტეტად უსახავს ბავშვის უსაფრთხოებას;

- ლოჯისტიკური პრობლემები - სოიალური მუშაკების გადატვირთულობა, შემთხვევების დიდი რაოდენობა ყოველთვიურად, დროისა და რესურსების ნაკლებობა მიდგომის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენებისთვის

თუმცა სისტემაში ხშირად ვხვდებით წინააღმდეგობასაც; ბავშვი რომელიც დაბადებიდან მინდობით აღზრდის სიტემაში იზრდებოდა, წლების შემდგომ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვი დაბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახში. და აქ ჩნდება კითხვა „რეალურად რამდენადაა წარმოდგენლი ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი?“ დაბადებიდან ზრუნვის სტემაში განთავსებულ ბავშვის პოზიტიური მიჯაჭვულობა, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდა შესაძლოა მიმართული იყოს არა ბიოლოგიური ოჯახის, არამედ მინდობით აღმზრდელების მიმართ. სისტემიდან გასვლა და ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ისეთივე ტრავმული გამოცდილება აღმოჩნდეს ბავშვისთვის, როგორც ზრუნვის სიტემაში პირველად მოხვედრა. ეს ფენომენი ამ პროგრამის განხორციელების ყველაზე დიდი გამოწვევაა (Rafeedie at al, 2019).

მინდობით აღზრდის პროგრამა არის უკიდურესი ნაბიჯი, ჩამნაცვლებითი მომსახურება, მთავარი აქცენტი ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებაზე უნდა გაკეთდეს (UNICEF, 2003). „გეთქიფინგის“ სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება საქართველომ 2012 წლიდან დაიწყო. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სახელმწიფო 24 საათიან მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების სისტემაში შესვლისა და გამოსვლის კონტროლს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სოციალური მუშაკის საქმიანობა და ჩართულობა მნისვნელოვანია ბიოლოგიურ ოჯახთან, მაშინაც კი როცა კონკრეტულ ეტაპზე რეინტეგრაციის საკითხი არ განიხილება. სოციალური მუშაკის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ოჯახის გაძლიერებისკენ, ისე რომ მშობლებმა

შეძლონ ბავშვის ოჯახში დაბრუნება და ამავდროულად გათვალისწინებულ და დაცულ იქნას ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები (გეითქფინგის სახელმძღვანელო პრინციპები, 2012)

დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ზრუნვის საჭიროებებისა და ზიანის რისკის დონეები (გეითქფინგის სახელმძღვანელო პრინციპები, 2012) :

- სახელმწიფო ზრუნვის საჭიროებისა და ზიანის პირველი დონე- შეფასებისას ზიანის რისკი არ გამოკვეთილა ან მცირეა. სოციალური მუშაკის საქმიანობა ოჯახთან შემოიფარგლება მხოლოდ არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით.
- სახელმწიფო ზრუნვის საჭიროებისა და ზიანის მეორე დონო- ოჯახის გაძლიერება და ფუნქციონირების შეარჩუნებაზე ზრუნვა, რაც მოიცავს სერვისების ჩართვას (რეინტეგრაცია, ხელოვნური ვაუჩერით უზრუნველყოფის, დღის ცენტრების, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების, ადრეული განვიათარების ქვეპროგრამებს)
- სახელმწიფო ზრუნვის საჭიროებისა და ზიანის მესამე დონო- განიხილება ბავშვის 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ განთავსება (გადაუდებელი მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსება, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ან ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსება).

როგორც ვხედავთ მინოდობით აღზრდა განეკუთვნება მესამე ეტაპს, ხოლო პირველი ორი დონის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მცირდება ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის რიკსი.

II თავი. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია მინდობით აღზრდის პროგრამის საჭიროებების, გამოწვევებისა და განვითარების პერსპექტივის გაანალიზება ამ პროგრამაში ჩართული მხარეების გათვალისწინებით;

კვლევის ამოცანებია:

- ✓ მინდობით აღზრდაში მყოფი და გასული ბავშვების დემოგრაფიული მონაცემების შესწავლა;
- ✓ მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების დამოკიდებულების შესწავლა პროცესის, მინდობით აღმზრდელის ოჯახისა და სოციალური მუშაკის მიმართ;
- ✓ მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური მშობლებისა და მინდობით აღმზრდელების დამოკიდებულების შესწავლა პროგრამასთან, ბავშვის განვითარებასთან, ოჯახის გაძლიერებასა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციასთან დაკავშირებით (არსებული სერვისები, სოციალური მუშაკის საქმიანობა და ჩართულობა)
- ✓ სოციალური მუშაკის ჩართულობის გაანალიზება მინდობით აღმზრდელის საქმიანობისა, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების ცხოვრების რიტმისა და ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობაში.

კველვის მეთოდოლოგია და შეზღუდვები

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, რომელიც ორი მიმართულებით წარიმართა. სამაგიდე კვლევის საშუალებით - ინფორმაციის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სახელმწიფო დონეზე არსებული დოკუმენტაცია, საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის შედარება ქართულ რეალობასთან. ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებულ იქნა მეორადი მონაცემების ანალიზი, ხოლო თვისებრივი მეთოდით სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა მინდობით

აღმზრდელებთან, მინდობით აღსაზრდელებთან და მათ ბიოლოგიურ მშობლებთან, ასევე ჩატარდა ფოკუს ჯგუფი სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული მხარეები: მინდობით აღმზრდელები, ბავშვები 6-დან 18 წლამდე, ბიოლოგიური მშობლები, სოციალური მუშაკები. დროისა და რესურსების სიმწირიდან გამომდინარე სამიზნე ჯგუფის არჩევა მოხდა ქ. თბილისში განთავსებული მინდობით აღზრდის მონაწილე პირებიდან.

კვლევის განხორციელება მოხდა მიზნობრივი შერჩევის გზით. სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა ნებართვა კვლევის ჩატარების თაობაზე, რადგან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არის მინდობით აღსაზრდელების კანონიერი წარმომადგენელი. სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგი გაეცნო სიღრმისეული ინტერვიუს კითხვებს და მისი თანხმობის შემდგომ განხორციელდა კვლევა.

კვლევის ფარგლებში აირჩა ქ. თბილისში რეგისტრირებული მინდობითი აღმზრდელები 5 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ასაკობრივი მაჩვენებელი 45-60 წლამდე მერყეობდა; მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების ასაკობრივმა მაჩვენებელმა 6დან 17 წელი შედაგინა; სულ 5 არასრულწლოვანი (2 ბიჭი და 3 გოგო), მათ შორის 2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. შეზრუდული შესაძლებლობის სტატუსი მინიჭებული იყო ზედა კიდურების ამპუტაციის გამო. მინდობით აღმზრდელები და მინდობით აღსაზრდელები სხვადასხვა ოჯახებიდან აირჩნენ, რადგან მონაწილე პირების მიერ კვლევა არ აღქმულიყო კონტროლის საშუალებად.

ბავშვების ბიოლოგიური მშობლების შერჩევა მოხდა თოვლის გუნდის პრინციპით. ქ. თბილისის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრების უფროსი სოციალური მუშაკების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედეგად. გამოკითხული მშობლებიდან ყველა იყო მდედრობითი სქესის, მათ შორის 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; ასაკობრივი დიაპაზონი 21 წლიდან 45 წლამდე. რესპოდენტებთან შეთანხმება მოხდა

წინასწარ, მათ ინფორმაცია მიეწოდათ კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით. რესპოდენტებმა თანხმობა ზეპირსიტყვიერად დაადასტურეს.

სულ ჩატარადა 15 სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის საშაულო ხანგრძლივობამ 45 წუთი შედაგინა. კვლევის ინსტრუმენტი არჩეულ იქნა სადისკუსიო გეგმა. ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვები მომზადდა ოთხივე მიზნობრივი ჯგუფისთვის ცალ-ცალკე (დანართი N1, N2, N3, N4). სიღრმისეული ინტერვიუუები განხორციელდა ეთიკურობის პრინციპის დაცვით. ინტერვიუების მიმდინარეობისას გამყენებულ იქნა აუდიო ჩაწერა, რის შესახებაც თითოეულ მონაწილეს მიეწოდა ინფორმაცია. ყველა მონაწილე, ინტერვიუების დაწყებამდე, გაეცნო საკუთარ უფლებებს კონიდენციალურობის დაცვისა და ინტერვიუს პროცესის ნებისმიერ დროს შეწყვეტის თაობაზე.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო სოციალური მომსახურების სააგენტოს 8 სოციალურმა მუშაკმა, მათ შორის 2 ქ. რუსთავის სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა. ასაკობრივი მაჩვენებელი მერყეობდა 23დან 56 წლამდე. ფოკუს ჯგუფის მონაწილების უმეტესობას გააჩნდა აკადემიური ხარისხი სოციალურ მუშაობაში (სულ 5), ხოლო 3 მათგანს გავლილი ჰქონდათ სერთიფიცირების კურსი.

კვლევის მიზანი იყო გამოევლინა საქართველოში მინოდბით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები. კვლევა არ არის სრულყოფილი, რადგან აქვს შეზღუდვები.

კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევამ მოიცვა მხოლოდ თბილისის რეგიონი. გამოკითხულ იქნა მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე მყოფი მინდობით აღმზრდელები, მინოდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვები 6-დან 18 წლამდე, ბიოლოგიური ოჯახები. სოციალური მუშაკებიდან მხოლოდ 2 იყო რუსთავის სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი. კვლევა უფრო სრულყოფილი იქნებოდა, თუ კი მოიცავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს და ამ პროგრამაში ჩართულ პირებს მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა ეს ვერ მოხერხდა, რადგან საჭირო გახდებოდა რაოდენობრივად ბევრი სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება, რაც

თავის მხრივ დაკავშირებულია დროის, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან, რისი საშუალებაც სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში არ გაგვაჩნდა.

მთლიანობაში კვლევა არ არის ფართომაშტაბიანი და წარმომადგენლობითი, კვლევის შედეგების განზოგადებას მთლიან პოპულაციაზე ვერ მოვახდენთ, თუმცა კვლევა ასახავს იმ ტენდენციებს, რომელიც გამოკითხულ ჯგუფებთან გამოიკვეთა.

კვლევის შედეგების ანალიზი

მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართულ მხარეებთან სიღრმისეული ინეტრევიუების ანლიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

ინფორმირებულობა და აზრის გათვალსიწინება

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზისას გამოვლინდა, რომ არასრულწლოვნები სხვადასხვა სახით ფლობდნენ ინფორმაციას მინდობით აღზრდაში განთავსების შესახებ, გამოკითხული 5 არასრულწლოვნიდან 3 მათგანს ჰქონდა ინფრომაცია მინდობით აღმზრდელის შესახებ, განთავსებამდე მოხდა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და მინდობით აღმზრდელის ოჯახში ვიზიტი, ხოლო გამოკითხული 2 არასრულწლოვანის შემთხვევაში, მათი განთავსება ჩვილობის ასაკიდან მოხდა.

„რაც თავი მახსოვს აქ ვარ, პატარა ვიყავი აქ რომ მომიყვანეს, მგონი აღუა. მერე და მერე მივხვდი რა ხდებოდა და რატომ მოდიოდა ჩემთან სოციალური მუშაკი. ნელნელა მივხვდი რატომ ვიყავი აქ და რატომ მოდიოდა დედა ამ სახლში ჩემ სანახვად.“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 1, 9 წ.)

„10 წლის ვიყავი დეიდამ რომ დამისვა და მითხრა მინდობითის შესახებ. მითხრა ევროპაში უნდა წავიდე, რჩენა ხომ გვინდა, მომავალი ხომ უნდა მოგიწყოო. მამაშენს არ მიყავხარ და სხვა გამოსავლი არაო. მერე გავიცანი ჩემი დედობილი, გადმოსვლამდე 2ჯერ ვესტუმრეთ სახლში, ბევრი სათამაშოები ჰქონდათ და ტკბილეულობა. ერთი სული მქონდა როდის გადმოვიდოდი აქ. ბავშვი ვიყავი და მეტი რა მაინტერესებდა.“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 2 , 17)

ინტერვიუების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა რომ არასრულწლოვნები რაღაც დოზით ინფორმირებულნი იყვნენ მინდობით აღზრდის პროგრამის შესახებ, სოციალური მუშაკის მხრიდან არ მიმდინარეობდა შესაბამისი მომზადება.

„ეხლა თქვენ რომ მეკითხებით ამ კითხვებს და ვფიქრობ, ვხვდები რომ არ ვიყავი მზად და არც არავის უზრუნვია ჩემი მომზადებისთვის. უცებ, ერთ ნახვის შემდეგ აღმოვჩნდი ამ ოჯახში. ყოველთვის მეშინოდა რომ დედა მიმატოვებდა, ეს დატოვება სხვასთან უკვე რაღაცას ნიშნავდა. თუმცა არც დედა, არც ჩემი ახალი დედა ან სოც მუშაკი არ დამპლაპარაკებია და ისეთი რამ არ უთქვამთ რაც დამამშვიდებდა და ჩემ შიშებს გამიქრობდნენ“. (არასრულწლოვანი რესპოდენტი 5, 16წ)

გამოკითხული არასრულწლოვნების აღნიშნავენ, რომ მიუხედავად კარგად ყოფნისა, არ მოსწონთ სხვაზე დამოკიდებულება და სხვადასხვა ადამიანის ჩართულობა მათ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, თუ კი საქმე ეხება დოკუმენტებს და მათ მოგვარებას.

„სკოლაში დამჭირდა საბუთების მიტანა და საჭირო იყო ხელის მოწერა. სკოლამ დედაჩემს (იგულისხმება მინდობით აღმზრდელი) *უთხრა, შენ არ შეგიძლიაო და სოციალური მუშაკი მოვიდესო. ჩემმა კლასელებმა მაშინ გაიგეს, რომ მე ნამდვილ დედასთან არ ვცხოვრობდი, თან ჩემი ხელები და უარესად შევეცოდე ჩემ სკოლელებს. დღე და ღამ წლების განმავლობაში დედასთან ვცხოვრობ და რატომ არ შუძლია დედას მარტო წავიდეს სკოლაში და ხელი მოაწეროს არ ვიცი.“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 3, 12 წ)*

სახალხო დამცველის ანაგარიშიდან (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019) ირკვევა, რომ სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის ყველაზე ხშირი მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირეა. სიღრმისიეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ორი მიზეზი: ბავშვის მიმართ არასათანადო მოპყრობა,რასაც მოყვა შესაბამისის ორგანოების მხრიდან სათანადო რეაგირება; ოჯახის მიუღებლობა არარეგიტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვის მიმართ.

„ინვალიდი ვარ, ოსრულად რომ დავრჩი ჩემი ოჯახი გადაირია, სხვა გამოსავალი არ მქონდა და ბავშვთა სახლში დავტოვე.“ (რესპოდენტი 8 ბიოლოგიური მშობელი, 42 წ)

„მე ვინმემ რამე მკითხა? მოტყუებით წაიყვანეს ბავშვები, გეგონება მე ვერ ვუვლიდი ან ვინმე ჩემზე კარგად მოუვლიდა.“(რესპოდენტი 6 ბიოლოგიური მშობელი, 27წ)

„აღარ შემეძლო მისი რთული ქცევების ატანა. ერთხელ უკვე მქონდა გამოწერილი შემაკავებელი და მანამ რამეს დავუშავებდით ერთმანეთს მე დავრეკე.“ (რესპოდენტი 8 ბიოლოგიური მშობელი, 32წ)

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ უმრავლეს შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული ბიოლოგიური ოჯახისა და მინდობით აღმზრდელის ტერიტორიული სიახლოვე. ტერიტორიული სიახლოვე ეხმარება ბიოლოგიურ ოჯახსა და ბავშვს შეინარჩუნონ და განამტკიცონ ურთიერთობა.

„ბავშვები ისე წაიყვანეს არც მითხრეს სად მიჰყავდათ, მერე გავიგე სხვა რაიონში წაუყვანიათ. როგორ უნდა შევძლო თუნდაც თვეში ერთხელ მათ სანახავად წასვლა. აქვე მაინც წაეყვანათ. სამი სხვა რაიონში, ერთი სხვაგან, მე რამდენად უნდა გავიჭრა?!.“ (რესპოდენტინ 6 ბიოლოგიური მშობელი, 27 წ)

„საკუთარი ნებით განვათავსე ბავშვი მინდობითში. მინდოდა ახლო ყოფილიყო, მაგრამ ადგილი არ არისო. მაგრამ იმაზეც მადლობელი ვარ ძალიან შორსაც რომ არ წაიყვანეს.“ (რესპოდენტი 7 ბიოლოგიური მშობელი., 21 წ)

ფოკუს ჯგუფის დროს სოციალურმა მუშაკებმა აღნიშნეს, რომ კარგად ესმით კანონმდებლობა და სტანდარტები, მაგრამ პრაქტიკაში ისეთ ფოსმაჟორულ სიტუაციაში უწევთ გადაწყვეტილების მიღება, რომ სამწუხაროდ ვერ ითვალისწინებენ სტანდარტებს.

„ყველამ კარგად ვიცით, რომ სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებისას უნდა გავითავლისწინოთ ბავშვის აზრი და გეოგრაფიული ადგილდებარეობა. თუმცა რეალობა

სხვაგვარია. სადაც ადგილია იქ მიგვყავს ბავშვი, მნიშვნელობა არ აქვს ეს რეგულარული თუ გადაუდებელი შემთხვევაა.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ა.ბ.)

„დღევანდელ ქართულ რეალობაში ვმუშაობთ მხოლოდ ბავშვის უსაფრთხოების დასაცავად. სხვა სტანდარტები ჩვენთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, სამწუხაროდ.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე თ.გ)

მინდობით აღმზრდელებთან ურთიერთობის თავისებურება

რაც შეეხება ბავშვებისა და მინდობით აღმზრდელების ურთიერთობას, ყველა გამოკითხული რესპოდენტი დადებით კონტექსტში საუბრობს მინდობით აღმზრდელისა და მათი ოჯახის შესახებ. მინდობით აღმზრდელებს „დედა“ უწოდებენ.

„ნატო (სახელი შეცვლილია ავტ.) დედაჩემია. ყველაფერს ყიდულობს ჩემთვსი, პრინცესას კაბები, თოჯინები, წიგნები და გუაშები. მე ორი დედა მაყვას, ერთი და მოერე.“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 4, 6წ)

„დედაჩემი კაი ტიპია. გვერდში მიდგას და ძაან მიგებს, თითქოს ჩემხელაა. ასაკობრივი სხვაობა ვერაფერს აკლებს ჩვენს ურთეირთობას. თუ რამე პრობლემა გვაქვს ჩვენშივე ვაგვარებთ, ბუტიაობისა და დამახსოვრებების გარეშე“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 2, 17 წ)

“ჩემს ოჯახს ძალიან ვუყვარვარ და ამას ვგრძნობ კიდეც. ჩემი და მეუბნება ხოლმე, ისეთი ციცქნა და ისეთი გამხდარი იყავი, რომ მოგიყვანეს რომ პატარა ფისოს გავდიო. მოფერებით ფისოს მეძახის მე. მალე დიშვილი მეყოლება და მეც ფისოს დავუძახებ“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 1, 9წ)

გამოკითხული რესპოდენტებისთვის მინდობით აღმზრდელის ოჯახი სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრის პირველი და ერთადერთი გამოცდილება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული სიშორე ხელს უშლით ბიოლოგიურ მშობლებს ბავშვებთან ურთიერთობის შენარჩუნებაში, რესპოდენტები პოზიტიურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ მინდობით აღმზრდელებთან ურთიერთობაში. მათი

გადმოცემით, მინდობთ აღმზრდელები ეხმარებიან ურთიერთობის შენარჩუნებაში და აწვდიან ინფორმაციას ბავშის ცხოვრებისა და განვითარების შესახებ.

„ვერაფერს ვიტყვი, მადლობელი ვარ მისი. რისი შესაძლებლობაც მე არ მომეცა ის აკეთებს. ვურეკავ და მეუბნება რას აკეთებს, როგორ იქცევა, რა ისწავლა.“ (რესპოდენტი 9 ბიოლოგიური მშობელი, 45წ)

„მე ხშირად ვერ ვახერხებ ჩასვლას, როცა მიმღები აქეთ მოდის მოყავს და ვნახულობ. ძალიან მდიგას გვერდში, ვეცოდები და ცდილობს შეძებისდაგვარად დამეხმაროს.“ (რესპოდენტი 8 ბიოლოგიური მშობელი, 42წ)

„არ ვარ დარეგისტრირებული მნახველ პირად, მაგრამ მიმღები ხელს მიწყობს ურთიერთობაში, ვურეკავ და არასოდე მზარდება, მელაპარაკება ბავშვზე, რა ისწავლა, რამდენი ჭამა, როგორ თქვა „აღუ“. საკუთარი შვილიშვილივით უყვარს ჩემი შვილი.“ (რესპოდენტი 7 ბიოლოგიური მშობელი, 21 წ)

სოციალურ მუშაკთან ურთიერთობის თავისებურება

არასრულწლოვნებთან ჩატარებული ინტერვიუს გაანალიზებისას გამოვლინდა, რომ სოციალური მუშაკები არ არიან აქტიურად ჩართულნი ბავშვის განვითარებისა და დაგეგმვის პროცესში. სოციალური მუშაკების მუშაობა ბავშვების პერსპექტივიდან მხოლოდ ყოველთვიურ კონტროლის მექნაიზმად აღიქმება. თუმცა სოციალურ მუშაკთან ურთიერთობის გამოცდილებას პოზიტიურად ასახელებენ.

„სოციალური მუშაკი ყოველთვე მოდის ჩვენთან, მომიკითხვას, მკითხავს რას ვშვრები ბაღში, ხომ არ მეზარება სწავლა, ხომ არ მაბრაზებენ, მეზარება თუ არა სკოლაში წასვლა.“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 4, 6წ)

„უნდა ითქვას რომ ყოველ თვე მოდის, თუ არ მოდის თვის ბოლოს რეკავს და როცა მოახერხებს მოსვლას მოდის. მეკითხება სკოლაზე, მეგობრებზე და როგორ ვგრძნობ თავს დედაჩემთან. მიუხედავად იმისა, რომ კარგი გოგოა არ მიყვარს რომ მოდის, თავს ისე

ვგრძნობ თითქოს რამე ობიექტი ვარ, რომელსაც ყოველთვე კონტროლი სჭირდება. უმეტესად დედას ელაპარაკება ხოლმე."(არასრულწლოვანი რესპოდენტი 5, 16 წ)

„მოდის ხოლმე ყოველთვე, მკითხულობს, რამე ხომ არ მინდა და ეგაა. თუ რამე მინდა მე და დედა ვაგვარებთ ხოლმე და რატომ მეკითხება ყოველ თვე ერთი და იმავე კითხვებს ვერ ვხვდები." (არასრულწლოვანი რესპოდენტი 2, 17 წ)

მიუხედავად მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტების დანერგვისა და მასში გაწერილი ვალდებულებისა, რომ მინდობით აღსაზრდელს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სოციალური მუშაკის საკონტაქტო ტელეფონზე და საჭიროების შემთხვევაში შეძლოს მასთან დაკავშირება (საქართველოს მთავრობა, 2017), კველვის ანალიზსიას გამოვლინდა რომ არასრულწოვნებს არ აქვთ სოციალური მუშაკის საკონტაქტო ინფორმაცია და ვერ ხედავენ ამის საჭიროებასაც.

„სოციალური მუშაკის ნომერი დედაჩემს აქვს, ისედაც მასთან რეკავს ხოლმე რამე თუ უნდა. თუ ჩემთან აქვს საქმე დედა მაძლევს ტელეფონს და ველაპარაკები. მგონი მოიტანა ერთხელ ფურცელი და ხელიც მოვაწერე სადაც მისი ნომერი ეწერა, მაგრამ დედას აქვს შენახული. თუ დამჭირდება დედას ვეტყვი და დავურეკავ." (არასრულწლოვანი რესპოდენტი 3, 12წ)

„არ დამირეკია არასდროს სოციალურ მუშაკთან, არ მაქვს ჩაწერილი ტელეფონი დედას აქვს." (არასრულწლოვანი რესპოდენტი 1, 9 წ)

„მახსოვს ხელი მოვაწერე ფურცელს, სადაც სოციალური მუშაკის და მისი უფროსის ნომერებიც ეწერა, მაგრამ დედას მისცა შეინახეო. რაში უნდა დამჭირდეს ვერ ვხდები, თუ დამჭირდება დედას ტელეფონში წერია." (არასრულწლოვანი რესპოდენტი 5, ბიჭი 17წ)

განსხვავებით მინდობით აღსაზრდელებისგან, მინდობით აღმზრდელები ხშირ და მხარდაჭერით კომუნიკაციის არსებობაზე მიანიშნებენ სოციალურ მუშაკთან.

„ყოველთვის ვგრძნობ მხარდაჭერას სოციალური მუშაკისგან. წლებია ურთიერთობა გვაქვს, შემიძლია ნებისმიერ დროს დავურეკო და არ დამზრდება.“ (რესპოდენტი 15 მინდობით აღმზრდელი, 60 წ)

„კვირაში რამდენჯერმე მირეკავს და მეკითხება რას ვშვრებით. ყოველთვე ამოდის ბავშვების სანახვად, თუ რამე საქველმოქმედო ღონისძიებაა მაშინვე ვახსენდები და მირეკავს.“(რესპოდენტი 12 მინდობით აღმზრდელი, 57წ)

„არ მახსენდება შემთხვევა მე დამერეკოს ჩემი სოციალური მუშაკისთვის და მას შეძლებოდა და არ დამხმარებოდა. ყურდღებიანია ძალაიან. ყოველთვის ახსოვს ბავშვი და კითხულობს. მოსვლაზე ხომ ლაპარაკი აღარ მაქვს. თვეში ერთხელ აუცილებლად და თუ დამჭირდა ხშირად.“ (რესპოდენტი 11 მინდობით აღმზრდელი, 55 წ)

„კარგი ურთიერთობა მაქვს სოციალურ მუშაკებთან, უბრალოდ ისე სწრაფად მეცვლებიან ამ ბოლო დროს, რომ ცოტა ავირიეთ.“ (რესპოდენტი 14 მინდობით აღმზრდელი, 45წ)

ბიოლოგიურ მშობლებთან ხუთი სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები არ არიან ჩართულნი ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობაში. მხოლოდ ერთი რესპოდენტის შემთხვევაში სოციალური მუშაკის ინიციატივით იგეგმება ბავშვის შემდგომი ზრუნვის ფორმა.

„ბავშვის სოციალურმა მუშაკმა დამირეკა მოდიო, მივედი. ვისაუბრეთ. ჩემი აზრი მოისმინა, მკითხა რას ვაპირებდი და როგორ წარმომედგინა ჩემი შვილის ცხოვრების განვითარებაში ჩემი ადგილი. მიმღებთან ერთად ვისაუბრეთ და დავგეგმეთ მომავალი.“ (რესპოდენტი 7 ბიოლოგიური მშობელი, 21 წ)

საქართველოს კანონი მინდობით აღზრდის შესახებ, მოიაზრებს ურთიერთობას ბიოლოგიურ მშობელთან, ბავშვის ინდივიდუალური გეგმის გაწერის პროცესში შეძლებისდაგვარად ჩართული უნდა იყოს ბიოლოგიური მშობელი (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017). თუმცა რესპოდენტები

მიუთითებენ რომ მათ ბავშვის სოციალურ მუშაკთან ურთიერთობა არ აქვთ, ხოლო ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი სოციალურ მუშაკთან ურთიერთობაც მხოლოდ ფორმალურ დონეზე აქვთ.

„არასოდეს მინახავს სოციალური მუშაკი. ერთხელ დავრეგისტრირდი მნახველად და მას მერე არავინ შემომხმიანებია სოციალურიდან.“ (რესპოდენტი 9 ბიოლოგიური მშობელი, 45წ)

„დარეგიტრირება მინდოდა მნახველად და გამყვანად. სოციალურა მუშაკმა უარი მითხრა, მას შემდეგ არ ბავშვის და არც ჩემი სოციალური მუშაკი არ გამოჩენილა.“ (რესპოდენტი 8 ბიოლოგიური მშობელი, 42 წ)

„სოციალურ მუშაკთან ურთიერთობა იმ დღის მერე აღარ მქონია, რაც ბავშვი წაიყვანეს.“ (რესპოდენტი 10 ბიოლოგიური მშობელი, 32წ)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს მრავალი სირთულე, რაც მინდობით აღმზრდელთან და ბავშვთან ურიერთობის დროს აწყდებიან. სოციალური მუშაკები აღიარებენ, რომ ვერ ხერხდება ინტენსიური მუშაობა სახლემწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების, მათი მშობლებისა და მინოდობით აღმზრდელებთან არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

„მოდი ვაღიაროთ რომ თვეში ერთხელ ოჯახში ვიზიტი დიდი არაფერია, ვერ ვემუშავებით ბავშვს. მივალთ მოვიკითხავთ და ჩვენს საქმიან პასუხისმგებლობას ვიხსნით. ტელეფონის საშუალებით მიმღებთან უფრო ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს. ვცდილობთ ვიცოდეთ ყველაფერი ბავშვის შესახებ.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქ.დ)

„მე კვირაში რამდენჯერმე ვურეკავ, ყველაფერი ვიცი ბავშვების შესახებ. უბრალოდ იმდენად შორს ცხოვრობენ, შეიძლება თვეში ერთხელაც ვერ მოვახერხო მათთან ვიზიტი. ვიცი არასწორია, თუმცა ამდენ საქმეში სხვა რა გავაკეთო. მინდობით აღმზრდელს იმდენად ვენდობი, რომ ვიცი კარგად იქნება.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ე. მ)

ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის სირთულეები

მიუხედავად იმისა, რომ „გეითქიფინგის“ სახელმძღვანელო პრინციპები პირდაპირ მიუთითებს ოჯახის გაძლიერებისაკენ მიმართული მუშაობის აუცილებლობასა და ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შენარჩუნებაზე (გეითქფინგის სახელმძღვანელო პრინციპები, 2012), კვლევის ანალიზისას გამოვლინდა, რომ სოციალური მუშაკები ამ მიმართულებით არ მუშაობენ და რეიტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯები არაქმედითია. ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნებასა და აღდგენაში არასრულწლოვენებს ძირითადად მინდობითი აღმზრდელები ეხმარებიან.

„დედა მარეკინებს ხოლმე დედაჩემთან, ურეკავს და ეუბნება რომ მოვიდეს და მნახოს. სახლში ვართ, გვცალია და მოდი შენი შვილი ნახეო. ჩემ სოც მუშაკს ყავს თუ არა ნანახი დედაჩემმი არ ვიცი.“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 4, 6წ)

„დედას მივყავარ ჩემი მეორე დედის სანახავად. რადგან მას არ შეუძლია აქ მოსვლა ჩვენ მივდივართ ხოლმე, არც თუ ისე ხსირად მაგრამ მივდივართ.“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 1, 9წ)

„სოციალური მუშაკი როგორ უნდა დამეხმაროს მამაჩემთან ურთეირთობის მოგვარებაში?! დედამ უთხრა იქნებ ცოტა დავარეგულიროთო და გავაზგავნი წერილსო, მერე რა მოხდა არ ვიცი, აღარაფერი უთქვამს. დეიდაჩემთან როგორც ვიცი აქვს ხანდახან კონტაქტი სოციალური ქსელის მეშვეობით.“ (არასრულწლოვანი რესპოდენტი 2, 17 წ).

გამოკითხულთა მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩანდა სოციალური მუშაკის ინიციატივა ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შენარჩუნებასა და გამტკიცებაში.

„სოციალურმა მუშაკმა მითხრა არ გინდა დედის სანახავად წაგიყვანოო. თავიდან არ მინდოდა მაგრამ იმდენჯერ მკითხა ვიფიქრე ვცდითქო და წამიყვანა. ახლა ყოველ თვე მივყავარ ციხეში მის სანახავად. ცივი ურთიერთობა გათბა დღეს.“ (რესპოდენტი 3, ბიჭი 12წ)

სენსიტიურობიდან გამომდინარე არცერთ არასრულწლოვანთან არ მომხადარა კითხვის დასმა რეინტეგრაციის საკითხთან მიმართებაში. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხუთივე რესპოდენტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა რეგულარულ მინდობით აღზრდაში.

სოციალური მუშაკები მიუთითებენ არსებულ დიდ ხარვეზზე, რაც ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობასა და განმტკიცებას ეხება.

„არის შემთხვევა როდესაც მინდობით აღმზრდელს არ უნდა სახლში ესტუმროს მშობელი. ამ შემთხვევაში ჩვენთან ოფისში მოდის, სადაც არ არის არანაირი ინფრასტრუქტურა და მშობელს უხდება სხვა მოქალაქეების თვალწინ მისი შვილის ნახვა. ეს ბავშვსაც აზიანებს და მშობელსაც უკლავს მოტივაციას.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე მ.ჯ)

მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის მოტივაცია

საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად ვლინდება, რომ მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის მთავარი მოტივაცია სიკეთის კეთება და ანაზღაურეაბაა (საქართველოს ბავშვები, 2011). სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა კიდევ ერთი მიზეზი, მინდობით აღმზრდელად რეგისტრაცია საყვარელი ადამიანის გარდაცვალების ტკივილის დასავიწყებლად გადაწყვიტეს.

„გარდამეცვალა შვილი, ამ ტკივილის გამო ქმედუუნარო გავხდი, არ შემეძლო მუშაობა და სამსახურს თავი დავანებე. წლების შემდეგ როცა ამ პროგრამის შესახებ გავიგე სახლში ვიყავი, ჩემი შვილის ტკივილთან ერთად. გადავწყვიტე გაუნაწილებელი სითბო მისთვის მიმეცა ვისაც ეს ძალიან სჭირდებოდა.“ რესპოდენტი 11 მინდობით აღმზრდელი, 55 წ)

„ახალგაზრდა ქმრის გარდაცვალების შემდგომ ამ სახლში ცხოვრება მარტოს ძალიან გამიჭირდა. ჩემმა მულმა მითხრა ამ პროგრამის შესახებ და გადავწყვიტე მეც მეცადა ბედი. უმწეო ბავშვებზე ზრუნვამ გამაგრძელებინა ცხოვრება.“ (რესპოდენტი 12 მინდობით აღმზრდელი, 57წ)

„ჩემი მიმღებ მშობლად რეგისტრაცია განაპირობა ოჯახურმა ტრაგედიამ. ახალაგზრდა ძმის გარდაცვალების შემდგომ მინდოდა დედას ყურადღებას ხვა რამეზე გადაეტანა და მივღე გადაწყვეტილება სპეციალიზირებულ მინდობითი აღმზრდელის რეგისტრაციის შესახებ.“ (რესპოდენტი 13 მინდობით აღმზრდელი, 52წ)

დამხმარე სერვისები და არსებული სირთულეები

მინდობით აღმზრდელებთან სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზისას გამოვლინდა არაერთი სირთულე, რომლებზეც წლების განმავლობაში სხვადასხვა კვლევები მიუთითებდა. მთავარ პრობლემად მინდობითი აღზრდის ანაზღაურება რჩება. ჯერ კიდევ 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები მიუთითებდა მინდობით აღზრდის ანაზღაურების სიმწირეს; ხელფასისა და ბავშვის საჭიროების ცალ-ცალკე გამოყოფის საჭიროებას (საქართველოს ბავშვები, 2011). მოიხედავად იმისა, რომ 2019 წლის იანვრიდან გაიზარდა მინობით აღზრდის ანაზღაურება რესპოდენტების თანხის სიმწირეზე საუბრობენ.

„ამჟამად სამი 1 წლამდე ბავშვი იზრდება ჩემს ოჯახში, სამივე ჯანრთელი. თითქოს კარგი ანაზრაურება უნდა გამოდიოდეს, მაგრამ გადავიანგარიშოთ რა ღირს პამპერსი, რამდენი მჭირდება. კვება, ხილი- ბოსტანი, ვიტამინები და ჩემი შრომის ანაზრაურებას საერთოდ ვერ ვიღბ.“ (რესპოდენტი 15 მინდობით აღმზრდელი, 60წ)

„9 წლის წინ მუშაობა რომ დავიწყე და დღეს ერთი და იგივე ანაზღაურება მაქვს. თითქოს არაფერი შეცვლილაო, და სახელმწიფომ შეადაროს დღევანდელი და თუნდაც 2 წლის წინანდელი ფასები. რომ არა ბავშვების სიყვარული, ანაზღაურება არაფერია.“ (რესპოდენტი 14 მინდობით აღმზრდელი, 45წ)

რესპოდენტები მიუთითებენ ასაკობრივ და დემოგრაფიული თვალსაზრისით თანხის დიფერენცირების საჭიროებაზე.

„არ მესმის როგორ შეიძლება ეყოს 480 ლარი კარგად 6 წლის და 17 წლის ბავშვს ერთანირად. ან რატომ არ განსხვავდება ქალაქის და სოფლის ანაზღაურება

ერთმაენითსიგან, როცა თბილისში ყველაფერი ძვირია.“ (რესპოდენტი 11 მინდობით აღმზრდელი, 55წ)

„დღეს რომ ამ ბავშვს მხოლოდ პამპერსი და საჭმელი სჭირდება, ხვალ სკოლა, წრეები და კარგი საცმელები უნდა. ამ ფულით რამდენი რამ უნდა გავაკეთო არ ვიცი. მოთხოვნა კი არის რომ საუკეთესო სტანდარტები უნდა შევუქმნა ბავშვს.“ (რესპოდენტი 13 მინდობით აღმზრდელი, 52წ)

მინდობით აღზრდის ანაზღაურების სიმწირეს განაპირობებს არსებული დამხმარე სერვისების ნაკლებობაც, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.

„ყველაზე მეტი პრობლემა სტომატოლოგთან გვექმნება, 3 ბავშვი, სამივეს სპეციალური საჭიროებები. ჯერ როგორი ძვირია სტომატოლოგიური მომსახურება და რატომღაც შშმ ბავშვების შემთხვევაში უფრო ძვირი ღირს. ყვეალფერს რომ გამოიანგარიშებ ხვდები რომ კაპიკების გამო გაქვს ამხელა პასუხისმგებლობა აღებული, როდესაც მთავრი მოტივი ანაზრაურებაა არ ღირს.“(რესპოდენტი 13 მინდობით აღმზრდელი, 52 წ)

„მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო დაზღვევა ბევრ რამეს გვიფინანსებს, ანზაღაურების ნახევარი მაინც წამალ-ექიმში მიგვდის. იქ სიცხის დამწევიო, იქ მხედველობის საათვალე და კონტროლი.“ (რესპოდენტი 11 მინდობით აღმზრდელი, 55წ)

„რამე შეღავათი რომ ქონდეთ ამ ბავშვებს ვიტყოდით რომ კარგად ვერ ვანაწილებთ თანხებსო, მაგრამ რთულია ამ ფულით წამალიც იყიდო, საჭმელიც, კარგ ექიმთანაც წაიყვანო და ჩემთვის ხელფასიც დამრჩეს.“ (რესპოდენტი 15 მინდობით აღმზრდელი, 60წ)

მინდობით აღმზრდელმა, რომელიც რეგისტრირებულია სპეციალიზირებულ მინდობით აღმზრდელად, პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა ადრეული განვითარებისა და რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამასთან დაკავშირებით.

„ჩემებს, სამივეს სჭირდებოდათ მასაჟები და გარკვეული სახის სპეციალისტების ჩარევა. სოციალურმა მუშაკმა ჩართო ადრეული განვითარებისა და რებაილიატაცია/აბილიტაციის

პროგრამებში. მალევე ჩავერთეთ, საკმაო თანხა დავზოგეთ და კარგი შედეგიც გვაქვს.“ (რესპოდენტი 13 მინდობით აღმზრდელი, 52წ)

სოციალური მუშაკები ერთხმად აღირებენ რესურსების არარსებობას, და მიანიშნებენ რომ თვითონ სოციალური მუშაკი კი არის სერვისი, მაგრამ მათ ცარიელი ხელებით არ შეუძლიათ ძირეული ცვლილებების განხორციელება.

„ვიცით რომ სოციალური მუშაკის მომსახურება სერვისია, მაგრამ რა გავაკეთო მე, სოციალურმა მუშაკმა, მოტივაციური ინტერვიუს გარდა, როდესაც მინდობით აღმზრდელი, ან მშობელი მეუბნება, რომ სჭირდება გაძლიერება. რა გავაკეთო მაშინ, როდესაც სახელმწიფო ბავშვს არ უფინანსებს სტომატოლოგიურ მომსახურებას და მინდობით აღმზრდელს მწირი ანაზღაურებით ჩემს წინაშე წუწუნებს.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ნ.გ)

ბავშვის განვითარების ხელშეწყობა

მინდობით აღმზრდელები ბავშვის ცხოვრებისა და განვითარების პროცესის თანმიმდევრობაზე საუბრობენ, თუმცა განვითარების ხელშეწყობა მხოლოდ საშუალო ან/და პროფესიული განათლების მიღებით შემოიფარგლება. გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს არ უჭერს არაფორმალურ განათლებასა და საგანმანათლებლო ბანაკებში მონაწილეობის საჭიროებას. ეს ერთი მხრივ, განპირობებულია დამატებით ხარჯების არსებობასთან და მეორე მხრივ, დამატებით პასუხისმგებლობასთან.

„რამდენჯერმე შემომთავაზა სკოლის პედაგოგმა ბანაკში მიიღოს მონაწილეობა ბავშვმა, ინგლისურს უფრო დახვეწოსო. მაგრამ ესეც ხომ თანხა ღირდა, პლიუს ამას მარტო ვერ გაუვუშვებდი მოზარდია.“ (რესპოდენტი 12 მინდობით აღმზრდელი, 57 წ)

„დიდი ასაკის ბავშვებისთვის სკოლიდან არის ხოლმე გასვლითი ღონისძიებები, მაგრამ მე არ ვუშვებ, მეშინია ეს ჩემთვის დამატებით პასუხისმგებლობას ნიშნავს. რამე რომ დაემართოს, თმის ღერი რომ ჩამოვარდეს ბავშვს მე მომთხოვს სახელმწიფო პასუხს.“ (რესპოდენტი 11 მინდობით აღმზრდელი, 55 წ)

რეგულარული მხარდაჭერის არარსებობა მინდობით აღმზრდელებისთვის

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის (CRC) ძირითადი სტანდარტების „ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისების მინიმალური რეგიონალური სტანდარტების“ (UNICEF, Regional Minimum Standards for Alternative Care Services for Children, 2012) თანახმად, მინდობით აღზრდელებს რეგულარულად უნდა უტარდებოდეთ ტრენინგები ბავშვის ქცევისა და განვითარების თაობაზე. თუმცა კვლევის ანალიზისას გამოვლინდა, რომ მინდობით აღზმრდელებს სავალდებულო სატრენინგო მასალა გავლილი აქვთ მხოლოდ მინდობით აღმზრდელად რეგსტრაციის დროს. სხვაგვარი მხარდაჭერა მათ წლების განმავლობაში არ მიუღიათ.

„როდესაც ვრეგისტრირდებოდი გავიარე სპეციალური ტრენინგები, მას შემდეგ ჩემთვის დაერეკოს და რამე შემოეთავაზებინოს არ მახსენდება.“ (რესპოდენტი 12 *მინდობით აღმზრდელი*, 57წ)

„ჩემ სოციალურ მუშაკთანაც მქონდა ამაზე წუწუნი, იმ ერთი ტრენინგის მეტი რატომ არაფერი გვიტარდება-თქო. მითხრა პროგრამა მხოლოდ ამას ითვალისწინებსო.“ (რესპოდენტი 11 *მინდობით აღმზრდელი*, 55 წ)

სისტემიდან გასვლა- მარტო ცხოვრების პირისპირ

მერი ბიკისა და კოლეგების (Gillian Schofield & Mary Beek, 2005) კვლევის შედეგად ვლინდება, სიტემიდან გასვლისას დიდი მნიშნველობა ენიჭება არასრულწლოვანის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზაობას, სადაც დიდი როლი სოციალური მუშაკის მუშაობას ენიჭება. 2016 წელს შემუშავებული რესპოდენტები ხაზს უსვავენ არსებულ ხარვეზებს და მიანიშნებენ სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელი საჭირო ქმედებებზე.

„წარმოგიდგენიათ, შეიძლება სახელმწიფომ 18 წლის განვალობაში ბავშვზე იზრუნოს, მაგრამ პროგრამის დახურვის სმედეგ არ ინტერესდება მისი ბედით, სად მიდის, რას აკეთებს. უნდა არსებობდეს რაიმე სახის დახმარება ასეთი ბავშვებისთვის“ (რესპოდენტი 13 მინდობით აღმზრდელი, 52წ)

„განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შშმ ბავშვების შემთხვევაში. სახელმწიფოს პანსიონატის გარდა სხვა სერვისი არ აქვს რომ უზრუნველყოს მათი თავშესაფარი. სადაც მე ნადმვილად არ ვაპირებ ჩემი გაზრდილი ბავშვები გავუშვა.“ (რესპოდენტი 14 მინდობით აღმზრდელი, 45წ)

სახლემწიფო მზრუნველობაში განთავსებისა უკეთესია ბავშვი მოხვდეს კარგ მინდობით აღმზრდელთან, ვიდრე მცირე საოჯახო ტიპის სახლში, რათა ბავშვის საჭიროებების განვითარება შესაბამისად სწორედ წარიმართოს. საქართველოში მინდობით აღზრდის სისტემიდან გასული ბავშვები უფრო დისკრიმინირებულნი არიან დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადების მხრივ, ვიდრე მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები (კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, 2014). სისტემა მთლიანადაა დამოკიდებული მინდობით აღმზრდლების გულისხმიერებაზე.

“რაც აქ ვმუშაობ მხოლოდ 2 მათგანი გავუშვი წლოვანობის გამო. ერთს ყავდა ნათესავები საზღვარგარეთ და ისიც იქ წავიდა. მეორეს ჩემ გარდა არავინ ყავს. როცა იცი რომ არავინ ელოდება ხომ ვერ ეტყვი წადი გიშვებ, რაც გინდა ის გიქნიაო. დღემდე ჩემთან ცხოვრობს, გათხოვდება და მერე მეც მშვიდად ვიქნები, საკუთარი სახლი რომ ექნება.“ (რესპოდენტი 15 მინდობით აღმზრდელი, 60წ)

„ეხლა გვიწევს მალე სისტემიდან გასვლა, სრულწლოვანი ხდება და სწავლის გაგრძელებას არ გეგმავს. არ ვიცი რას ვიზავთ. მე ვერ ვეტყვი წადითქო. სახელმწიფოც არაფერს სთავაზობს, არაფრით ეხმარება. იქნება ჩემთან სანამ შემეძლება და სანამ შეგვეძლება.“ (რესპოდენტი 11 მინდობით აღმზრდელი, 55წ)

მინდობით აღზრდის პროგრამის მთავრი მიზანი ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნება და რეინტეგრაციის პროგრამის განხორციელება წარმოადგენს (გეითქფინგის სახელმძღვანელო პრინციპები, 2012). წამყვანი როლი ამ საკითხში სოციალურ მუშაკს უჭირავს. თუმცა რესპოდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობაში აქტიურად არაა ჩართული ბავშვის

სოციალური მუშაკი. მათი განმარტებით ეს განპირობებულია გადატვირთული გრაფიკითა და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გეოგრაფიული სიშორით.

„პირველად როდესაც დარეგისტრირდენენ ბავშვის მშობლები, სოციალური მუშაკი მოვიდა მასთან ერთად, მის მერე მგონი არც უნახავთ ერთმანეთი. ბავშის დედა როცა ჩამოდის შეიძლება სოციალურ მუშაკს არ ეცალოს და რატომ უნდა მოვიდეს.“ (რესპოდენტი 12 მინდობით აღმზრდელი, 57 წ)

„პირველად ერთად მოვიდნენ. მშობლები მე მირეკავენ, შორს ცხოვრობენ და ხშირად ვერ მოდიან. როგორც მე ვიცი მშობლებიდან და ჩემი სოც მუშაკიდან არ აქვთ ურთიერთობა.” (რესპოდენტი 14 მინდობით აღმზრდელი, 45 წ)

სოციალურ მუშაკებთან ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი თიქთმის არაფერს აკეთებენ არასრულწლოვანის დამოუკიდებელეი ცხოვრების მომზადებისთვის, და სისტემიდან გასვლის შემდგომ ამ ბავშვებთან არანაირი მუშაობა აღარ მიმდინარეობს.

„წლებია ვმუშაობ, რამდენი ბავშვი გავუშვი სისტემიდა ცარიელი ხელებით. არანაირი წასასვლელი, არანაირი მხარდაჭერა. და მეც არანაირი გაწერილი პასუხისმგებლობა მათ მიმართ. ადამიანურად ძალაინ განვიცდი, მაგრამ პროფესიული თვალსაზრისით ვერაფერს ვაკეთებ.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ნ.ი)

„მსტ-დან გასული ბავშვები უკეთეს მდგომარეობასი არიან. მათ იციან რომ მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია ისე არ დატოვებს, თავშესაფარი ექნებათ, სპონსორი ეყოლებათ, ვინმე დაეხმარება დასაქმებაში. მინდობითი აღზრდიდან გასული ბავშვები ცუდ მდგომარეობაში არიან. შიშველი ხელებით მთელი სამყაროს წინაშე.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ზ.შ)

ოჯახის გაძლიერება და რეინტეგრაციის ხელშეწყობის გამოწვევები

არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი დოკუმენტაცია მიუთითებს ოჯახის გაძლიერებისაკენ მიმართულ მუშაობაზე. „გეითქიფინგის“ სახელმძღვანელო პრინციპის გათვალისწინებით ოჯახის გაძლიერება უნდა დაიწყოს როგორც პრევენციული ღონსძიება,

ასევე, სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის შემდგომაც, მიუხედავად იმისა, იმ კონკრეტულ ეტაპზე შესაძლებელია თუ არა რეინტეგრაციის მიზნის მიღწევა (გეითქფინგის სახელმძღვანელო პრინციპები, 2012). კველვის ანალიზის ეტაპზე გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ბიოლოგიურ ოჯახის გაძლიერებაზე არ არის ორიენტირებული. რის გამოც წლიდან წლამდე იზრდება სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვების რაოდენობა, ხოლო რეინტეგრაციის შემთხვევების რაოდენობა თითქმის უცვლელია (სააგენტო, 2019). რესპოდენტები მიუთითებენ არსებული ხარვეზებსა და მწირე რესურსებზე.

„ბავშვები უნდა იზრდებოდნენ დედასთან. იმ თანხას მე რომ მიხდიდნე მეც ხომ შევძლებდი ჩემი შვილების რჩენას?!“ (რესპოდენტი 6 ბიოლოგიური მშობელი, 27)

„განსაკუთრებით ჩემმნაირი ადამიანებისთვის უნდა არსებობდეს რაიმე. მერე რა რომ ივნალიდი ვარ, მიყვარს ჩემი შვლილი, მაგრამ არავინ მყავს დამხმარე და ამიტომაც ვართ ესე.“ (რესპოდენტი 8 ბიოლოგიური მშობელი, 42წ)

„მარტოხელა დედა ვარ. არავინ მყავს დამხმარე. სოცალური დამხარებით მე როგორ უნდა ვარჩინო შვილი, თან ძალიან ცელქი და არაფერი არ ესმის. ბაღი ან ვინმე რომ დამხარებოდა ასე არ მოხდებოდა.“ (რესპოდენტი 10 ბიოლოგიური მშობელი, 32წ)

„ეხლა რომ წავიყვან რამით დამეხმარება სახელმწიფო?! ვიმუშავო, ბავშვის საჭმლისთვის ფული შევაგროვო თუ ბავშვს მივხედო? რამე უნდა არსებობდეს. რომ ამბობენ ჩვენი მიზანი ბავშვის სახლში დაბრუნებაა. მხოლოდ სიტყვებია, საქმე და დახმარება ნული.“ (რესპოდენტი 7 ბიოლოგიური მშობელი, 21წ)

სოციალური მუშაკის ინტენსიური ჩართულობა ოჯახის გაძლიერებისთვის, პირდაპირ უკავშირდება რეინტეგრაციის მიზნის განხორციელებას (Sandra Bass; Margie K. Shields; Richard E. Behrman;, 2004). სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოციალური მუშაკის პასიური ჩართულობა პირდაპირ აისახება რეინტეგრაციის

მიზნის მიღწევაზე. მხოლოდ ერთი რესპოდენტის შემთხვევაში, რომელსაც ურთიერთობა აქვს სოციალურ მუშაკთან, იგეგმება რეინტეგრაციაზე მუშაობის დაწყება.

„პრობლემები რომელმაც განაპირობა ჩემი ბავშვის აქ მოხვედრა, ნელნელა გვარდება. მალე შევძლებ ჩემი შვილის წამოყვანას ჩემთან, თუმცა ეს პროცედურა დროში იწელება, როგორც სოციალურმა მუშაკმა მითხრა.“ (რეპოდენტი 7 ბიოლოგიური მშობელი, 21 წ)

რაც შეეხება სხვა რესპოდენტებს, ბავშვთან ერთად ცხოვრების სურვილი ყველას აქვს, თუმცა კონკრეტული გეგმა არ აქვთ ჩამოყალიბებული და არც არავინ ეხმარება მომავლის გეგმის დასახვაში.

„რა თმა უნდა ჩემი შვილები ჩემთან გაიზრდებია. 4 შვილი წამართვა სახელმწიფომ. ყველას დავიბრუნებ. მომცენ ფული და მეც შევძლებ რომ მივხედო.“ (რესპოდენტი 6 ბიოლოგიური მშობელი, 27 წ)

„არ ვიცი ამ ჩემ მდგომარეობაში როგორ, მაგრამ აუცილებლად მე და ჩემი შვილი ერთად ვიცოხვრებთ. ღმერთის იმედი მაქვს, ისაა ჩემი ერთადერთი დამხმარე.“ (რესპოდენტი 8 ბიოლოგიური მშობელი, 42)

„ცოტა რომ წამოიზრდება იქნებ დაწყნარდეს და აღარ იყოს ესეთი ცელქი. მეც ნერვები დამიწყნარდება და წამოვიყვან. იქნებ სამსახურის ვიშოვო.“ (რესპოდენტი 10 ბიოლოგიური მშობელი, 32 წ)

„რომ გაიზრდება მაინც ჩემთან დაბრუნდება. ეხლა არ შემიძლია. ვერავინ მეხმარება და რამე ხომ არ უნდა დავმართო ჩემ შვილსა და საკუთარ თავს.“ (რესპოდენტი 9 ბიოლოგიური მშობელი, 45წ)

ფოკუს ჯგუფის ანალიზისას იკვეთება, რომ სოციალური მუშაკები აღიარებენ საკუთარ უმოქმედობას ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერების პროცესში. მათი განმარტებით ეს ძირითადად გამოწვეულია დროის, რესურსებისა და კომუნიკაციის ნაკლებობით სხვა სოციალურ მუშაკებთან.

„ხშირად ჩვენი ურთიერთობა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ფორმალურია. ყოველ გადასინჯვაზე ვაგზავნით წერილს შესაძლო რეინტეგრაციის თაობაზე. რა რეინტეგრაცია უნდა განხორციელდეს როცა ოჯახთან არავინ მუშაობს.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ნ.გ)

„ჩემი ბავშვების ბიოლოგიური ოჯახები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. იმდენი საქმე მაქვს, რომ ვერ ვახერხებ მათ სოციალურ მუშაკთან დაკავშირებას და ამბის მოკითხვას.“(ფოკუს ჯგუფის მონაწილე თ.გ)

„ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ დრო არ გავაქვს. დიახ მართალია, მაგრამ სერვისი გაქვს? დავიწყე რეინტეგრაციისთვის მუშაობა. ავუმაღლე მოტივაცია, მაგრამ რითი გავაძლიერო? მაქვს სერვისი მშობლის უნარჩვევების გაუმჯობეებაზე? კრიზისულში ჩავრთავ მაგრამ 3 წლის მერე დაუფინანსდება. შედეგი?.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ა.ბ)

„რეინტეგრაციის განხორციელება დამატებითი პასუხისმგებლობაა სოციალური მუშაკებისთვის. ძალიან ვფრთხილობ რეკომენდაციის გაწევაზე, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ კარგად იქნება ბავშვი. თითქოს საკუთარ თავს ვიცავ.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ნ.გ)

„რთულია გადაწყვეტილების მიღება. ბავშვი რომელიც ყველაფრით არის უზრუნველყოფილი მინდობით აღზრდაში, იგივე პირობები უნდა შეეთავაზოს რეინტეგრაციის პროგრამაში მონაწილეებსაც.“(ფოკუს ჯგუფის მონაწილე ე. მ)

„სახელმწიფოს გულგრილი დაოკიდებულებისა და არასრებული პროგრამებიდან გამომდინარე ყოველწლიურად იზრდება მინდობითი აღზრდის შემთხვევები, რეინეტგრაციის შემთხვევები კი ძალიან მცირეა.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ზ.შ)

დასკვნა და რეკომენდაციები

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და მინდობითი აღზრდის სისტემის დანერგვა, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. მზრუნველობა მოკლებული ბავშვების აღზრდა ოჯახთან მიახლოებულ გარემოში განვითარებული ქვეყნების მთავარ პრიორიტედად იქცა, თუმცა მთავარი მიზანი კვლავ რჩება ოჯახის გაძლიერება და პრევენციული ღონისძიებების გატარება, იმგვარად, რომ ოჯახმა შეძლოს ფუნქციონირების შენარჩუნება და ბავშვის უფლებებისა და საჭიროებების დაცვა.

საქართველოში მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელებას ხანგრძლივი ისტორია არ აქვს. წლების განმავლობაში სახელმწიფო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ცდილობდა პროგრამის დახვეწასა და საუკეთესო პრაქტიკის იმპლემენტაციას. თუმცა სოციალური მომსახურების საგენტოში არსებული პრობლემები და ქვეყანაში მიმდინარე მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონი აისახება პროგრამის განხორციელების ხარისხზეც. ქართული რეალობის შედარება საერთაშორისო პრაქტიკასთან თუ ლიტერატურასთან ნათლად გვაჩვენებს განსხვავებს. სამაგიდო და საველე კვლევის შედეგად გამოვლიდნა სირთულეები საუკეთესო მინდობითი აღზრდის პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მინდობით აღზრდის მონაწილე მხარეები ზოგადად პოზიტიურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ პროგრამის მიმართ. ბიოლოგიური მშობლები მხარდაჭერისა და არსებული სერვისების სიმწირეზე მიანიშნებენ.
- საქართველოში არ არსებობს მინდობით აღზრდის განხორციელების მოდელები; არსებული მინდობით აღზრდის სახეებიდან პრაქტიკაში არ მომხდარა ყველა მათგანის იმპლემენტაცია. დღემდე არ ამოქმედებულა ჩამნაცვლებითი მინდობით აღზრდის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა მინდობით აღმზრდელებს წლის განმავლობაში ჰქონოდათ კუთვნილი შვებულება. დღეის მდგომარეობით

მინდობით აღმზრდელები მუშაობენ კვირაში შვიდი დღე, შესვენების გარეშე. ეს ყველაფერი აისახება მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და მიწოდებული ზრუნვის ხარისხზე.

- მიუხედავად საერთაშორისო დოკუმენტებში გაწერილი ვალდებულებისა, დღეის მდგომარეობით საქართველოში მინდობით აღმზრდელებს არ უტარდებათ უწყვეტი ტრენინგები ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ.
- მიუხედავად არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინსტიტუტების კრიტიკისა, დღემდე სახელმწიფოს არ აქვს მკაფიოდ გაწერილი გეგმა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვანებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების უზრუნველსაყოფად. დღეის მდგომარეობით, მომზადებაში იგულისხმება შეაბამისი ფორმალური განათლების ხელშეწყობა. სისტემიდან გასული ბავშვები სამყაროს წინაშე მარტო მხარდაჭერის გარეშე რჩებიან. სახელმწიფო ძირითადად დამოკიდებულია მინდობით აღმზრდელების კეთილ ნებაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მინდობით აღმზრდელები ფორმალურ და არაფორმალურ მხარდაჭერას ახორციელებენ, მიუხედავად სისტემიდან გასვლისა.
- 2017 წლიდან დღემდე ვერ მოხერხდა მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტების სრული დარეგვა პრაქტიკაში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მინდობით აღზრდის სტანდარტები უმეტესად ფორმალურ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით კი საინფორმაციო ფურცელი.
- მინდობით აღზრდაში მოხვედრის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად კვლავ რჩება ეკონომიკური სიდუხჭირე. კვლევისას გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლებისათვის საჭირო დამხმარე სერვისის არასებობა, რამაც განაპირობა ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრა.
- მინდობით აღმზრდელებისთვის პრობლემას წარმოადგენს მწირი დამხმარე რესურსები და მცირე ანაზღაურება. 2019 წლის იანვარში გაზრდილმა

ანაზღაურებამ მინდობით აღმზრდელებისა და ბავშვების ცხოვრების დონის რადიკალური ცვლილება არ გამოუწვევია.

- პრობლემად რჩება ხარისხიანი სამედიცინო უზრუნველყოფის მიწოდება. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ უზრუნველყოფს სპეციალურ პაკეტს მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვებისთვის. განსაკუთრებით სირთულეები იკვეთება სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდების მხრივ.
- დღეის მდგომარეობით არსებული დამხმარე სერვისები ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ქვეყანას არ გააჩნია სპეციფიკური სერვისები, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობა განცდილი ბავშვების რეაბილიტაციას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის არსებულ სერვისებს პოზიტიურად და სასარგებლოდ ახასიათებენ, თუმცა საჭიროა მათი დახვეწა.
- არ არსებობს სპეციალურად აღჭურვილი ოთახი, სადაც ბიოლოგიური მშობელები და ბავშვები ერთმანეთს შეხვდებიან. ხშირად ეს ფაქტორი ბიოლოგიურ ოჯახებსა და სოციალურ მუშაკებს უქმნის ბარიერს ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შენარჩუნებაზე მუშაობისას.
- რეინტეგრაციის შემხთხვევების ყოველწლიური მაჩვენებელი მცირედით იცვლება. სოციალური მუშაკების ჩართულობა ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობისას დაბალია, არ ხდება ოჯახისთვის მოტივაციის ამაღლება და მათი გაძლიერება. სოციალური მუშაკების მუშაობა პრევენციული მიმართულებით დაბალია. უმეტეს შემთხვევაში ბავშის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანა ყოველგვარი გაძლიერებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების გარეშე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიურ მშობლებს აქვთ სურვილი ბავშვის ოჯახში დაბრუნების, უმეტეს შემთხვევაში არ ხდება გეგმის გაწერა.
- ოჯახის გაძლიერებისა და გეითქიფნგის სახელმძღვანელო პრინციპები პრაქტიკაში სუსტადაა გამოყენებული. სოციალური მუშაკებისთვის პრიორიტეტი მხოლოდ ბავშვის უსაფრთხოებაა.

- სოციალური მუშაობისა და სოციალური მუშაკის როლი წარმატებული მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია. სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული რთული ვითარების გამო, სოციალური მუშაკები ვერ ახერხებენ ბავშვებთან და ბიოლოგიურ ოჯახებთან სათანადო მუშაობის განხორციელებას. კვლევის ანალიზიას გამოიკვეთა, რომ სოციალური მუშაკები უფრო მეტად ურთიერთობენ მინდობით აღმზრდელებთან, ვიდრე უშუალოდ ბავშვებთან. სოციალური მუშაკების უმეტეს შემთხვევაში არ იჩენენ ინიციატივას რეინტეგრაციის განხორციელებისთვის.

განხორციელებული კვლევის ანალიზის შედეგად შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშაევება, რომლებიც დაეხმარება მინობით აღზრდის პროგრამის საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებას:

- მნიშვნელოვანია სისტემიდან გასული ბენეფიციარების საჭიროებებისა და გამოწვევების სიღრმისეული შესწავლა. სანდო სტატისტიკური მონაცემების წარმოების უზრუნველყოფა სისტემიდან გასული მოზარდების შესახებ.
- დაიხვეწოს და გაძლიერდეს დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადების კონცეფცია. შეიქმნას სერვისი, რომელიც დაეხმარება მინდობით აღზრდის პროგრამიდან გასულ ბენეფიციარებს;
- მოხდეს მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტების სრული იპლემენტაცია პრაქტიკაში, რათა ეს დოკუმენტი არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს;
- მოხდეს ჯანდაცვის უსზრუნველყოფის მიზნით სპეციალური სადაზღვეო პაკეტის შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება სტომატოლოგიური მომსახურება და მედიკამენტები;
- აუცილებელია მინდობით აღზრდის ანაზღაურების დიფერენცირება ასაკის გათვალისწინებით.

- შეიქმნას სხვადასხვა სერვისები ძალადობა განცდილი ბავშვებისთვის; რათა ზრუნვაში მოხვედრისას სტერსმა არ გაამძაფროს მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა;
- შექიმნას სპეციალური მომსახურება, რათა სოციალურმა მუშაკებმა შეძლონ მინდობით აღზრდაში განსათავსებელი ბავშვების შემზადება, ტრავმის ხარისხის შემცირების მიზნით;
- მნიშვნელოვანია დაუყოვნებელი ამოქმედდეს ჩამნაცვლებითი მინდობით აღზრდა, რათა მინდობთ აღმზრდელებს ჰქონდეთ საკუთარი შვებულების გამოყენების შესაძლებლობა;
- შეიქმნას სპეციალურად აღჭურვილი ოთახები, სადაც ბიოლოგიურ მშობლებს შეეძლებათ ბავშვების ნახვა, მათთან ერთად თამაში და ურთიერთობის განმტკიცება;
- დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა თემში ოჯახის გაძლიერების მიმართულებით. პრევენციული ღონისძიებების ეფექტური მუშაობა ხელს შეუწყობს მინდობით აღზრდის შემთხვევების შემცირებასა და რეიტეგრაციის მიზნის მიღწევას;
- სსიპ სოციალური მომსახურებიის სააგენტომ შეძლოს სოციალური მუშაკებისთვის გარკვეული მიმართულებების ჩამოშორება, რათა სოციალურ მუშაკებს ჰქონდეთ მეტი დრო უკეთესად იზრუნონ სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების საჭიროებებზე;
- დაიხვეწოს სოციალური მუშაკებისა და მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების კომუნიკაცია. ურთიერთობა არ ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ და მაკონტროლებელ ხასიათს.
- გაძლიერდეს სოციალური მუშაკების მუშაობა ბიოლოგიურ ოჯახებთან მიმართებაში; ბავშვისა და ბიოლოგიური ოჯახის სოციალური მუშაკების ურთიერთობა არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.
- სოციალური მომსახურებიის სააგნეტოს სოციალურმა მუშაკებმა შეძლონ კოორდინინირებულად მუშაობა სხვა უწყებებთან ოჯახის გაძლიერების მიზნით;

- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მოახდინოს სოციალური მუშაკების კომპეტენციისა და რაოდენობის ზრდა, რათა სოციალური მუშაკის მომსახურება იქცეს სერვისად.

აღნიშნული რეკომენდაციები თანხვედრაში მოდის ბავშვის უფლებათა კონვენციასთან და სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან, რომლებიც მიუთითებენ მინდობით აღზრდის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და წარმატებული რეინტეგრაციის განხორციელების ხელშეწყობას.

გამოყენებული ლიტერატურა

AdamBrownMark, & E.CourtneyJ.Curtis McMillen. (2015, November). Behavioral health needs and service use among those who've aged-out of foster care. *Children and Youth Services Review*, pp. 163-169.

Annika Olson, David G.Scherer, & Andrew L.Cohen. (2017, November). Decision-making skills of emerging adults aging out of foster care. *Children and Youth Services Review*, pp. 81-86.

Brenda Jones Harden. (2004). Safety and Stability for Foster Children: A Developmental Perspective. *The Future of Children, Vol. 14, No. 1, Children, Families, and Foster Care*, 30-47.

Carolien Konijn; Sabine Admiraal; Josefiene Baart; Floor van Rooij; Geert-Jan Stams; Cristina Colonnesi; Ramón Lindauer; Mark Assink;. (2018, August 21). Foster care placement instability: A meta-analytic review. *Children and Youth Services Review*.

David C. Rowe. (2003). Attitudes, Social Class, and the Quality of Foster Care. *Social Service Review, Vol. 50, No. 3*, 506-514.

Elizabeth K. Anthony; Judy Krysik; Cara Kelly;. (2018). Social-emotional well-being among youth living in out-of-home. *Children and Youth Services Review*, Cysr.

Elizabeth K. Anthony; Judy Krysik; Cara Kelly;. (2018). Social-emotional well-being among youth living in out-of-home care. *Children and Youth Services Review*, 1-22.

Every Child. (2015). *Training needs assessment for EU/EEA countries.* ECDC. Retrieved from https://ecdc.europa.eu/sites/portal/files/documents/Training-needs-assessment-for%20EU-EEA-countries_0.pdf

Gillian Schofield , & Mary Beek. (2005, December Vol. 35, No. 8). Risk and Resilience in Long-Term Foster-Care. *The British Journal of Social Work*, pp. 1283-1301.

Gunvor Andersson. (2001). The Motives of Foster Parents, Their Family and Work Circumstances. *The British Journal of Social Work*, 235-248.

Haksoon Ahn, DianeDePanfilis, Kevin Frick, & Richard P.Barth . (2018, January). Estimating minimum adequate foster care costs for children in the United States. *Children and Youth Services Review*, pp. 55-67.

Jennifer Rafeedie; Sharon M. Hudson; Alexis Deavenport-Saman; Sheela Rao; Karen Rogers; Suzanne Roberts;. (2019). Decision-making in foster care: A child-centered approach to reducing toxic stress in foster children. *Children and Youth Services Review 96*, pp. 10-16.

John G. Orme; Cheryl Buehler;. (2011, January). Foster Family Characteristics and Behavioral and Emotional Problems of Foster Children: A Narrative Review. *Family Relations, Vol. 50, No. 1*, pp. 3-15.

Joseph P. Ryan, Pedro M. Hernandez, & Denise Herz. (2007). Developmental Trajectories of Offending for Male Adolescents Leaving Foster Care. *Social Work Research, Vol. 31, No. 2*, 83-93.

Kate Wilson, Steph Petrie, & Ian Sinclair. (2003). A Kind of Loving: A Model of Effective Foster Care. *The British Journal of Social Work, Vol. 33, No. 8*, 991-1003.

Lawrence Shulman. (1980). SOCIAL WORK PRACTICE WITH FOSTER PARENTS. *Canadian Journal of Social Work Education / Revue canadienne d'éducation enservice social*, pp. 58-71.

Lily T. Alpert &Preston A. Britner;. (2009, September). Measuring Parent Engagement in Foster Care. *Social Work Research*, 135-145.

Maja Laklija. (2011). *Foster care models in Europe results of a conducted survey.* Zagreb.

Mary Baginsky; Sarah Gorin; Claire Sands;. (2017). *The fostering system in England: Evidence review.* London: King's College London and Quest Research and Evaluation Ltd.

Melissa Denlinger; Cassandra Dorius;. (2018). Communication patterns between foster parents and case managers. *Children and Youth Services Review*, pp. 329–339.

Mieke Denuwelaere, & Piet Bracke. (2007). Support and Conflict in the Foster Family and Children's Well-Being: A Comparison between Foster and Birth Children. *Family Relations, Vol. 56, No. 1*, 67-79.

(2002). *National Care Standards Foster Care And Family Placement Services.* Scotish Executive.

Patrick J.Fowler , Katherine E.Marcal Jinjin , Zhang OrinDay , & John Landsverk . (2017, June). Homelessness and aging out of foster care: A national comparison of child welfare-involved adolescents. *Children and Youth Services Review*, pp. 27-33.

(2000). *Report of the Committee on the Rights.* New York: United Nations. Retrieved from http://www.un.org/documents/ga/docs/55/a5541.pdf

(2017). *Romania: Children In Public Care 2014.* Buchurest: UNICEF,The World Bank.

Sandra Bass; Margie K. Shields; Richard E. Behrman;. (2004). Children, Families, and Foster Care: Analysis and Recommendations. *The Future of Children, Vol. 14, No. 1, Children, Families, and Foster Care*, pp. 4-29.

Sarah Geenen, & Laurie E. Powers. (2006). Are We Ignoring Youths with Disabilities in Foster Care? An Examination of Their SchoolPerformance . *Social Work, Vol. 51, No. 3*, 233-241.

Scottish Care Commission. (2003). *NATIONAL STANDARDS FOR FOSTER CARE.* DUBLIN: Government of Ireland.

Sonya J. Leathers. (2003). Parental Visiting, Conflicting Allegiances, and Emotional and Behavioral Problems among among Foster Children. *Family Relations Vol. 52, No. 1*, 53-63.

Stukes Chipungu; B. Bent-Goodley;. (2004). Meeting the Challenges of Contemporary Foster Care. *The Future of Children, Vol. 14, No. 1, Children, Families, and Foster Care*, pp. 74-93.

UN. (2010). *64/142. Guidelines for the Alternative Care of Children.* New York: United Nations. Retrieved from https://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf

UNICEF. (2003). *Gatekeeping services for vulnerable children and families: A concept paper.* UNICEF Innocenti Research Center.

UNICEF. (2012). *Regional Minimum Standards for Alternative Care Services for Children.*

United Nation. (2010). *Guidelines for the Alternative Care of Children.* General Assembly.

United Nations. (1989). *The Convention on the Rights of the Child.* UN General Assembly.

Wendy L. Haight, James E. Black, Cindy L. Workman , & Lakshmi Tata. (2001, October). Parent—Child Interaction during Foster Care Visits. *Social Work, Vol. 46, No. 4* , pp. 325-338.

(2012). *გეითქფინგის სახელმძღვანელო პრინციპები.* თბილისი, .

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები. (2019). მოპოვებული http://ncp.ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis-დან

კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. (2014). *ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება.* თბილისი.

სააგენტო, ს. მ. (2019). *სტატისტიკური ინფორმაცია.* მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტო: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610-დან

საქართველოს ბავშვები. (2011). *შშმ ბავშვთა მინდობითი აღზრდის მომსახურების კვლევა.* თბილისი.

საქართველოს კანონი მინდობით აღზრდის შესახებ. (2005). თბილისი. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/20260?publication=1-დან

საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ. (2006). თბილისი. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=12-დან

(2017). *საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ.* თბილისი. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665080?publication=3-დან

საქართველოს მთავრობა. (2017). *მინდობითი აღზრდის მომსახურების სტანდარტები.* მოპოვებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: https://www.moh.gov.ge/ka/662/mindobiT-aRzrdis-momsaxurebis-standartebi-დან

საქართველოს სახალხო დამცველი. (2019). *ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი - ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა- სპეციალური ანგარიში.* თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. (2019). მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტო: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=888-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2019). მოპოვებული http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2019). მოპოვებული http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=49-დან

(2019). *სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.* თბილისი.

სტატისტიკური მონაცემები სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის შესახებ . (2019). მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტო: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610-დან

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა. (2019). მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტო: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1291-დან

დანართი N1- მინდობით აღსაზრდელებთან სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი (6დან 18 წლმდე)

- მომიყევი შენს შესახებ
- ვინ და რა ინფორმაცია მოგაწოდა მინდობითი აღზრდის პროგრამის შესახებ განთავსებამდე?
- განთავსებამდე რამდენი ხნით ადრე მიიღე ეს ინფორმაცია?
- როგორ მოხდა შემზადება?
- რამდენჯერ შეგეცვალა მიმღები ოჯახი /ზრუნვის სხვა ფორმა?
- რამდენი ხანია რაც ამ ოჯახში ცხოვრობ?
- მომიყევი შენი და მიმღები მშობლის ურთიერთობის შესახხებ?
- რა მოგწონს ყველაზე მეტად?
- მიმღებ მშობელთან ან მიმღები ოჯახის წევრთან თუ წარმოქმნილა რაიმე სახის პრობლემა?
- ვის მიმართავ ამ შემთხვევაში?
- რა ურთიერთობა გაქვს შენს ბიოლოგიურ ოჯახთან?
- რა ინტენსივობით ნახულობ/ მიდიხარ ბიოლოგიურ ოჯახში?
- რა მხარდაჭერას გრძნობ მინდობით აღმზრდელისგან/ სოციალური მუშაკისგან ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობისთვის?
- მომიყევი სოციალურ მუშაკთან ურთიერთობის შესახებ?
- მომიყევი როგორ წარმოგიდგენია საკუთარი ცხოვრება მომავალში
- რა გამოწვევები გაქვს მინდობით აღზმრდელთან ურთიერთობაში?
- რა მოგწონს/ რა გეხმარება მასთან ურთიერთობაში?
- რა გამოწვევები გაქვს სოციალურ მუშაკთან ურთიერთობაში?
- რა მოგწონს/ რა გეხმარება მასთან ურთიერთობაში?
- რა რეკომენდაციები გაქვს არსებულ პროგრამასთან დაკავშირებით?

დანართი N2- სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი მინდობით აღმზრდელებთნ:

- მომიყევით თქვენს შესახებ
- რამ განაპირობა მინდობით აღმზრდელად რეგისტრაცია?
- ხართ თუ არა გადაუდებელ მიმღებ მშობლად რეგისტრირებული?
- რამდენი წელია მიმღები მშობელი ხართ?
- მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის განცხადებაში მითითებული გქონდათ თუ არა რაიმე კონკრეტული მახასიათებელი ბავშვის შესახებ?
- რამდენი მინდობით აღსაზრდელი გყავდათ თქვენი მუშაობის განმავლობაში?
- ერთდროულად რამდენი აღსაზრდელი გყავდათ/გყავთ განთავსებული თქვენს ოჯახში?
- მომიყევით თქვენი და ბავშვების ურთიერთობაზე
- რა მოგწონთ ყველაზე მეტად ამ საქმიანობაში/ ბავშვზე ზრუნვის პროცესში?
- გიტარდებათ რაიმე სახის ტრენინგები ბავშის ქცევისა და განვითარების თავისებურებებების შესახებ/ გარდა რეგისტრაციის დროს გავლილი ტრენინგისა?
- სხვა რა ტიპის მხარდაჭერა გაქვთ?
- როგორ ხდება ბავშვის განვითარების ხელშეწყობა/ განთლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადების ხელშეწყობა?
- რა გამოწვევებს ხვდებით ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და უზრუნველყოფის კუთხით?
- მომიყევით თქვენი და ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის შესახებ
- მომიყევით თქვენი და სოციალური მუშაკის ურთიერთობის შესახებ
- რამდენადაა ჩართული სოციალური მუშაკი თქვენი და ბავშვის ურთიერთობაში?
- ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობისას რა როლი აქვს ბავშვის სოციალურ მუშაკს?
- თქვენი აზრით რა ელის ბავშვს სისტემიდან გასვლის შემდეგ?
- პირადად თქვენ რა მხარდაჭერას უწევთ ბავშვს სიტემიდან გასვლისას?
- რა სიძნელები გხვდებათ მუშაობის პროცესში?

- რა რეკომენდაციები გაქვთ პროგრამასთან დაკავშირებით?

დანართი N3 -სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი ბიოლოგიურ მშობლებთან

- მომიყევით თქვენს შესახებ
- რამ განაპირობა თქვენი შვილის/შვილების სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრა?
- რას გრძნობთა ამასთან დაკავშირებით?
- თქვენი აზრით რა გავლენას ახდენს ეს ფაქტი ბავშვებსა და თქვენზე?
- რამდენი ხანია რაც თქვენი შვილი/ შვილები ამ სისტემაში იმყოფებიან?
- რა გამოწვევებს ხვდებით მინდობით აღმზრდელთან ურთიერთობისას?
- რა მოგწონთ და რა სირთულეებია მასთან ურთიერთობისას?
- რა გამოწვევებს ხვდებით ბავშვთან ურთიერთობისას?
- რა გიადვილდებათ და რა სირთულეებს ხედავთ მასთან ურთიერთობისას?
- მომიყევით სოციალურ მუშაკთან ურთიერთობის შესახებ?
- რა მოგწონთ/რა სირთულეებს ხვდებით მასთან ურთიერთობის დროს?
- ჩართული ხართ რაიმე სხვა სერვისში?
- რა ღონისძიებები ტარდება რეინტეგრაციისთვის?
- რა სირთულეებს აწყდებით ამ მიზნის მისაღწევად?
- რა მოგწონთ/ არ მოგწონთ ამ კუთხით?
- რის გაუმჯობესებას ისურვებდით პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით?

დანართი N4- ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი

1. რამდენი წელია რაც ამ თანამდებობაზე მუშაობთ?
2. გაქვთ თუ არა აკადემიური ხარისხი სოციალურ მუსაობაში/ ან გავლილი გაქვთ თუ არა სასერთიფიკატო კურსი?
3. რამდენი მინოდბითი აღზრდის ქეისი გაქვთ ? დაკონკრეტეთ მინდობითი აღზრდის ოჯახისა და ბავშვების რაოდენობა
4. რამდენად მოხდა მინდობითი აღზრდის შესახებ არსებული სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა ?
5. რამდენად ითვალისწინებთ ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსებისას ბიოლოგიური ოჯახისა და მიმღები ოჯახის ტერიტორიულ სიხალოვეს?და-ძმებს შორის სიახლოვის შენარჩუნებას? ბავშვის სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე სერვისების არსებობაას მიმღები ოჯახის ტერიტორიაზე?
6. მომიყევით თქვენი და მიმღები ოჯახის ურთიერთობის შესახებ/ სიხშირე/ურთიერთობის ხასიათი/ შიანარსი
7. მომიყევით თქვენი და მინდობით აღსაზრდელის ურთიერთობის შესახებ/ სიხშირე/ურთიერთობის ხასიათი/ შიანარსი. ინტენსივობა
8. მიმღებსა და ბავშვის კონფლიქტს დროს როგორ ხდება პრობლემის მოგვარება?
9. რა კეთდება ბავშის რეინტეგრაციისთვის?
10. როგორი ურთიერთობა გაქვთ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან, რა ინტენსივობით? რა ხასიათის ურთიერთობა? რა ფორმით? რა ინტენსივობით?
11. როგორი ურთიერთობა გაქვთ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახის სოციალურ მუშაკთან, რა ინტენსივობით? რა ხასიათის ურთიერთობა? რა ფორმით?რა ინტენსივობით?
12. თქვენი გამოცდილებიდან რა ბედი ეწიათ ზრუნვიდან გასულ ბავშვებს?
13. თქვენ როგორც სოციალურმა მუშაკმა როგორ შეუწყეთ ხელი მისთის დამოუკიდებლი ცხოვრების მომზადების პროცესს?
14. თქვენი აზრით რა მუშაობს ყველაზე მეტად წარმატებული მინდობითინ აღზრდის საქმეში?

15. რა გამოწვევებს ხვდებით?
16. რა რეკომენდაციები გაქვთ არსებულ პროგრამასთან მიმართებაში მინდობით აღსაზრდელის, მინდობითი აღმზრდელისა და ბიოლოგიური ოჯახის პერსპექტივების გათვალისწინებით?

დანართი N5

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariami Begiashvili

Master Thesis on The Topic

Implementation Of Foster Care Programe in Georgia and Social Work

Social Work

Thesis Submitted to obtain the Master's Degree in Social work

Supervizor: Nelly Akobia,

guest lecturer Of

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Tbilisi

2019